№ 127

სამშაბათი, 26 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 127

სამშაბათი, 26 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

მარიამ ნიკოლოოზის ასული, ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძე, სოფიო დავითის ასული ფურცელაძენი და ნინო კონსტანტინეს ასული ნატროევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებასა შემდეგ მძიმე და ხან-მოკლე ავადმყოფობისა: პირველი—ძვირფასის და დაუვიწყარის ქმრისა, მეორე და მეოთხე—მამისა და მესამე—მამამთილისა

კონსტანტინე ლუარსაბის ძის ფურცელაძისას.

გამოსვენება იქნება ხუთშაბათს, 28 ამა ივლისს, დილის 9 საათზე. სოფ. მერეთში, გორის მაზრა. ცალკე მოწვევა არ იქნება.

ქუთაისის გამგეობა საქალებო წმინდა ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ აკადემიურ წლის დასაწყისიდგან ქუთაისის საქალებო წმინდა ნინოს სასწავლებლის მოწაფეებს ემატება სწავლის ფული თითო თუმანი (ათი მანათი) და ამიტომ გადახდებათ ნახევარი წლის ფული მოსამზადებელი კლასების მოწაფეებს 30 მან. 1, 2 და 3 კლასებისას 32 მ. 50 კ., 4, 5, 6 და 7 კლასებისას 35 მანათი და 8 და 9 კლასებისას 40 მანათი. (3—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(ცუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **ბძლიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

აღზრდის საქმეს მხოლოდ საზოგადოება მოაწყობს

ცხოვრების ბრუნვამ ბიუროკრატია განსაცდელში ჩააგდო. მისი არსებობა ძველის სახით შეუძლებელი შეიქმნა. ეს თვით ბიუროკრატიამაც იგრძნო. და, აი, მან ძველ კონკის დაკერებას მიჰყო ხელი, მოისურვა ალაგ-ალაგ მაინც დაფლეთილ ტანთსაცმელს ნაჭრები დაადვას, რომ ამით ამ ტანთსაცმელის მატარებელი საზოგადოება დააკმაყოფილოს. მაგრამ სცდება. ვის არ უნახავს ღატაკ ადამიანის ტანზე ნაჭრებით შეჩითული ტანისამოსი? მართალია, ტანისამოსის შეკეთება შეიძლება, მაგრამ აქ! შეკეთებასაც საზღვარი აქვს. დადგება დრო, როცა ძველი კონკი ძაფს აღარ დაიმაგრებს და პატრონიც იძულებული გახდება თავიდან მოიშოროს. ამაოა ბიუროკრატიის ცდა—ცხოვრების ძველ სისტემას ეგერ-აგერ ნაჭერი დაადოს და ამით საზოგადოება ყინულზე გააცუროს. წავიდა დრო, როცა ასეთ ხერხს კიდევ გასავალი ჰქონდა.

საზოგადოებრივი აღზრდა ჩვენში დღემდის ისე უკუღმართად იყო მოწყობილი, იმდენად გაიზარდა ხალხში უკმაყოფილება არსებულ სასკოლო სისტემის წინააღმდეგ, რომ ბიუროკრატია იძულებული შეიქმნა საქმეს ჩაჰფიქრებოდა. და, აი, მან მოისურვა დაძონძებულ სისტემის შეკეთება.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მოიწვია კომისია, რომელსაც დაავალა შეემუშავებინა დაწყებითი სკოლის პროგრამა. კომისია აცხადებს: „ჩვენი მიზანია ისეთი სასკოლო გეგმა შევიმუშაოთ, რომ სკოლა, რაც შეიძლება, მეტის სისრულით აკმაყოფილებდეს ადგილობრივ მკვიდრთ და მათის მხრივ თანაგრძნობის ღირსი შეიქმნეს“. კეთილი და პატიოსანი. მართლაც, ხალხი აბუჩად ასაგდები როდია. შეიძლება ერთს, ორს, ათს წელიწადს ხალხს დასცინოთ, სთელოთ მისი თავმოყვარეობა, მაგრამ ბოლოს მაინც ის არ შეგარჩენს თქვენ თავხედობას. მართლაც, აუცილებელია, რომ ყოველივე სახალხო დაწესებულება ხალხის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს და მის თანაგრძნობით იყოს აღჭურვილი. ხოლო თუ ეს თქვენი სურვილი გულწრფელია, მაშინ თქვენთვის ცხადია ის გზაც, რომელიც ერთად-ერთია დაყენებულ საკითხის სასურველის სახით გადასაწყვეტად. მაგრამ თქვენ ეს გზისთვის ვერ მიგიგნიათ და ვერც მიაგნებთ.

აი ფაქტიც. კომისიის ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა: რადგან სასკოლო საქმეში მთელი ხალხია დაინტერესებული, სხვებიც მოვიწვიოთ, სხვათა შორის, პრესსის წარმომადგენლებიც. და ეს წინადადება უარჰყვეს. უარჰყვეს წინადადება, რომელსაც ოდნავ მაინც შეეძლო კომისია ხალხისთვის დაეახლოვებინა. განა შეიძლება ხალხის საქმე უხალხოდ მოეწყოს? განა წარმოსადგენია, ხალხის სურვილები ხალხს გარეშე მდგომმა წრემ განახორციელოს? თავის დღეში არა!.. და ნურც ნურავინ ამბობს: ჩვენ ხალხის სურვილის შესაფერი დაწესებულება გვსურს შევქმნათო. ხალხის თანაგრძნობას სკოლა მხოლოდ მაშინ მოიპოვებს, როცა მას ხალხი თვითონვე მოაწყობს.

დაწყებითი სკოლის პროექტი, კომისიის-მიერ შემუშავებული, იბეჭდება დღევანდელ ნომერში. თქვენ დაინახავთ, რომ ამ გეგმაში არაფერი არაა სკოლის გამგებლობის შესახებ. ეს საკითხი კი უმთავრესი საკითხია. თუ სასკოლო ორგანიზაცია ისევ ბიუროკრატიული დარჩა, თუ ბიუროკრატიული კიბე ისევ ძველებურად დაწყებით სკოლის მასწავლებელს კისერში ჩაებჯინა, მაშინ სკოლა ისევ გამოფიტული, უსიცოცხლო, ყოველ შემოქმედებით ძალას მოკლებული დარჩება. ამიტომაც სკოლა უნდა გადაეცეს საზოგადოებას, კომუნას. მხოლოდ კომუნალური ორგანიზაცია მისცემს სკოლას სულსა და გულს, ფრთას შეასხამს მას და ცხოველყოფელად გახდის.

ახლა შევეხოთ თვით პროგრამას. მართალია, ამ პროგრამით თითქო გვარიანი ფართო ადგილი ეთმობა დედა-ენას დაწყებით სკოლაში მაგრამ დედა-ენის არსებობა, უზრუნველ-ყოფა დაწყებით სკოლაში საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების შესაფერად მოწყობას მოითხოვს. თუ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი სხვა ენაზე ისწავლის, მან როგორ-ღა უნდა ასწავლოს დაწყებით სკოლაში სამშობლო ენაზე? მეორე—თანამედროვე წყობილებაში ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ პირში ჩალა-გამოვლებული არ დავრჩებით? როცა ბიუროკრატია კაბინეტებში პროექტებს ადგენს და საზოგადოებას აძლევს, მე ყოველთვის ერთის ფილოსოფოსის ნაამბობი გამახსენდება ხოლმე. იტალიაში მან ასეთი სურათი ნახა: ვიღაც სახედარზე შემჯდარიყო და, რომ ოჩანი ვირი გაემხნევებინა, ქვიქვირს ზევით ჩალა მიაკრა. ვირი ხედავდა ჩალის კონას, უნდოდა მისი შეჭმა და, რადგანაც მარტო ხედავდა და პირით კი ვერა სწვდებოდა, დაუღალავად მითოხარიკობდა, ეგონა, ჩალა ჩემს წინაა, და, ეს-ეს არის, მოვეწევიო.. მე მგონია, ყველა ეს პროექტებიც ასეთივე ჩალაა ჩვენთვის.

ვთქვათ, დედა-ენას ცოტაოდენი ადგილი მიეცა დაწყებით სკოლაში. მერე ეს საკმარისია? დედა-ენაზედაც შეიძლება ბოროტებისა და სისაძაგლის სწავლება. მაშ ეს მხოლოდ სწავლების ერთი მხარეა. მეორე მისი მხარეა—სასწავლო საგნების შინაარსი. პროექტში ვკითხულობთ: „სამღვთო სჯულის მნიშვნელობა არავისთვის საეჭვო არ არისო“. ხალხი კი ამას თავის დღეში არ იტყოდა. მე აქ ამ საკითხს არ შევეხები. მხოლოდ გაგახსენებთ, რომ მთელ განათლებულ ქვეყნებში სახელმწიფო სკოლაში სამღვთო სჯულს ადგილი არა აქვს. სკოლა უნდა იყოს საერო. ესაა სინიდისის თავისუფლების აუცილებელი მოთხოვნა. სამღვთო სჯულის სწავლების საჭიროებას კომისია დასძენს: „უსათუოდ უნდა ვასწავლოთ გალობა საერო და განსაკუთრებით სასულიერო“. რატომ განსაკუთრებით? საზოგადოდ მთელს პროექტში მხოლოდ სამღვთო სჯულის პროგრამაა გარკვეული, დანარჩენი კი არაფერი. არაა ნათქვამი, რა შინაარსის, რა მიმართულებისა უნდა იყოს სასწავლო მასალა.

ჩვენ სერიოზულად არცა გვსურს განვიხილოთ ხსენებული პროექტი. ჩვენი მიზანია—მხოლოდ დავამტკიცოთ, რომ შემცდარის გზით ცხოვრების მოწყობა არ შეიძლება. ხალხის ინტერესებს ბიუროკრატია ვერ დააკმაყოფილებს...

პ. სურგულაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

24 ივლისი.

ვერხნედნეპროვსკი, 22 ივლისი. გაზ. „ვესტნიკ იუგას“ სიტყვით, ეკატერინოსლავის გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის წესები კიდევ ერთის წლით დასტოვეს, ე. ი. 1906 წ. 5 ენკენისთვემდის.

მოსკოვი, 23 ივლისი. სამხედრო სასამართლოში საზოგადოების დაუსწრებლად გრაფ შუვალოვის მკვლელის კულიკოვსკის საქმე გაირჩა. მკვლელმა განაცხადა: მამა ჩემი გაციმბირებული იყო და შემდეგ განთავისუფლებული, დედა კი გლეხის ქალიო. ტობოლსკის გუბერნიაში საშინელ სიღარიბეში დავიბადე. მთელს ოჯახს მე ვარჩენდი, 15 წლის განმავლობაში მასწავლებლად ვიყავიო. პირველად რომ გამხზრიკეს, არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი, მაგ-

ფელეტონი

გაყიდული მადა

პოლ ლაფარგისა

(თარგმანი)

წინასიტყვაობა

ამ რამდენისამე წლის წინად ერთმა შარენტონში *) მოსამსახურემ ხელნაწერი გადმომცა, რომელიც ჩაუბარებია მისთვის ერთს იქაურს საგიჟე პერანგში გარდაცვალებულს ავადმყოფს. ის მარწმუნებდა, ამ ხელნაწერის ავტორი, ემილ დეტუში, არაოდეს გიჟი არა ყოფილაო; უთუოდ ჩააგდეს საგიჟეთში უმაღლესი ბრძანებით. მთელ მის ტყვეობის განმავლობაში იგი ცალკე განყოფილებაში ჰყავდათ, განსაკუთრებულ მსახურის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც ამ მიზნით იყო გამოგზავნილი. მოსამსახურემ გადმომცა მე 103 პაწია, კარანდაშით და აკანკალებულის ხელით დაწერილი ფურცელი; როგორც ეტყობოდა, ნაჩქარევად, საიდუმლოდ, ნახევრად ბნელაში ნაწერი იყო,—ის დღემდის შენახული მაქვს; იგი შეიცავს ქვემოდ მოყვანილს ამბავს, რომელსაც აქავე ვუზიარებ მკითხველს. ხელნაწერი ისე უცნაური მეჩვენა, რომ დღემდის ვერ გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება, მაგრამ ფსიხიატრების უკანასკნელმა გამოკვლევებმა ჰიპნოტიზმისა და გონებრივ დუალიზმის შესახებ იმდენად საინტერესო მოვლენები წამოაყენა, რომ სრულიად ჩაჰრდილა წინად გავრცელებული აზრი ნების თავისუფლების შესახებ და ადამიანის ინდივიდუალობის შესახებაც კი; იმედი მაქვს, რომ სარგებლობას მოუტან მეცნიერებას ემილ დეტუშის ამბვის გამოქვეყნებით.

მოგაგონებთ, რომ შამისსომ, მერი შელლიმ, გოფმანმა, შალიკაზმა და ბოლოს ბეზან-დე-რისმა გამოაქვეყნეს რამდენიმე მსგავსი შემთხვევები, და ახლა მკურნალთა საქმეა—ეს სანდო პირთა-მიერ დამოწმებული არა ჩვეულებრივი შემთხვევები შეკრიბონ, შეადარონ და შეისწავლონ.

მე უნდა გამერჩია და წესრიგში მომეყვანა ეს ხელნაწერი, მაგრამ შესაძლებლად ვეცადე შემენახა მისი წინანდელი ფორმა, რომელშიაც იგი ტყვემ მოაქცია. მკითხველი თვითონ გადაწყვეტავს, გიჟი უნდა ვუწოდო მის დამწერს, თუ არა.

I

ქრისტეშობისთვე იყო; ემილ დეტუშს სიცივისაგან აძაგძაგებდა და სიმშილით კუჭი ეწოდა. ქუჩები თოვლს დაეფარა და მოკრიალებულ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავები ბრწყინავდნენ; სუსხიანი, ცივი ქარი თბილ ქურქშიაც ატანდა და თითო-ოროლა მგზავრს ნაბიჯს აჩქარებინებდა. დე-შევეს მაღაზიის გარე ფანჯარას თითქო მიკროდა ემილი, გალურჯებულის სახით, კბილების ძაგა-ძუგით და გათოშილი. ხუთ-გირვანქიანი ზუთხი დიდებულად გაწოლილიყო ბალახის სარეცელზე; ფეხებ-აშვერილ, თეთრ, ჩაკურატებულ სასუქის დედლებს უმანკოდ გამოეფინათ კურტუმები, მწკრივად ჩარაზმულიყვნენ თუნთრუბა ქონში გახვეული ტოროლა და სხვადასხვა გარეული ფრინველები; ფირფიტინა ქაღალდებში ლამაზად შეხვეული ღიღილა ვაშლები და ამაყი მსხლები მხარ-თეძოდ მიწოლილიყვნენ ბამბიან კალათში; გემრიელი, ხორცით გატენილი ხაჭაპურები იპყრობდნენ მის განსაკუთრებულ ყურადღებას. გაჭრილ პაშტეტს მადის აღმძვრელად გამოეფინა თავისი ხორცი, თითქო გადაჭრილი ძარღვი არისო. ემილს დაბრეცოდა თვალები და აკანკალებოდა მახვილი, მოგძო 32 კბილი.

სამი დღეა, საბრალოს არა უჭამია-რა; მძვინვარე სიმშილი უკრუნჩხავდა და სწვავდა გულ-მუცელს, უჭიმავდა ყბის ძარღვებს და პირსაც ნერწყვით უვსებდა. იგი იდგა უძრავად და სიცივეს არც კი გრძნობდა იმ საუცხოო საჭმელებით მოხიბლული, რომელთაც შეეძლოთ მწვავე სიმშილის შემსუბუქება, ტანჯვათა შემოკლება და მთელ მის არსების ნეტარებით ავსებაც. დიდებული ცერემონია—ზიარებაა, წმინდა სერობა. ჭამის დროს სარწმუნოებრივი სიჩუმე უნდა სუფევდეს, რომ გონება მთლად ამ მოქმედებას მიაპყრო. ჭამა-სმაში დახელოვნებულ ბერებს წესად აქვთ შემოღებული ჭამის დროს სიჩუმე.

—უჰ! მეტი არ შემიძლია... მადლობას მოგახსენებთ.

— თქვენი მადლობა უფრო საჭირო დროისათვის შეინახეთ; მე მაინცა და მაინც უანგარო კეთილის მყოფელი არა ვარ,—რაში უნდა გამოვიყენო თქვენი მადლობა. თქვენ დაიკმაყოფილეთ კუჭი და მოიპოვეთ სმენა. ახლა ყური დამიგდეთ: ამიტომ, როცა თქვენ ანთებულის თვალებით თითქო აღნობდით შევეს მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილ ლორს, მე შურით წარმოვსთქვი ჩემთვის: „ნეტა ასეთი მადა მომცა-მეთქი“.. ოქრო, რომელიც მე ბანკირებზე მეტი მაქვს, კმაყოფილებას გვრის ჭკუას და გრძნობასაც; მაგრამ ეს მე სასაცილოთ არ მყოფნის; მადა ჭკუაზე მაღლა დგას, სიყვარულზე მაღლა... მე კუჭით და კუჭისათვის ვცოცხლობ; მხიარული ვარ მხოლოდ მაშინ, როცა ვჭამ, როცა ვსვამ, ყოველივე სხვა ამაოა. მე შ... ვარ. ამ გვარის გაგონებაზე უთუოდ მიხვდებით, რომ მე აუარებელი სიმდიდრის პატრონი ვარ; მე ჩემი მილიონების ანგარიშიც არ ვიცი; 32 წლის განმავლობაში რკინისა და ქვანახშირის მეფე ვიყავ: მე შემიძლია სიყვარულის და გუნდრუკის კმევის მორევში ვცურავდე. შემიძლია ყოველგვარი მიწიერი სიამოვნება მოვიპოვო, მაგრამ ყოველივე მძაგს, გესმის, მძაგს ყველა. ყოველგვარ კმაყოფილებას, რისთვისაც კი ადამიანი იბრძვის, მე გავცვლიდი ჩემი უფროსი მზარეულის, გენიოს სწავლულის, ქიმიკოსის, ერთად-ერთ ჩემ საყვარელ კაცისაგან მომზადებულ სადილში. თუ ღვთისაგან სიბრძნით აღჭურვილმა სოლომონმა, ცხოვრების სინამდვილით და ცოდნაზე ოცნებით გამძღარმა, წამოიძახა—ყოველივე ამაოა, ეს იმიტომ, რომ მან უკვე დასცალა სიყვარულის სიტკბოების ფიალა, გონების სიამოვნება და ყოვლად შემძლებელობაც, მაგრამ მას არ უგემია ჭამის უუმაღლესი ბედნიერება. რა არის სიყვარული?—შესაბრალი და წუთიერი სიამოვნება; ჯერ დაწყებულიც არ არის და იმ წამსვე იფანტება, ჰქრება და იკარგება.

მასთან შედარებით კუჭის სიამოვნება საუკუნოდ გეჩვენება! იგი მთელი საათობით გრძელდება. ბრბო სოლომონზე უფრო ბრძენია; ყველა ერს, აფრიკელ ზანგს, ისე, როგორც ყვითელ კანიანს ჩინელს საზოგადოებრივ მდგომარეობის უპირატესობის ნიშნად მიღებული აქვთ—წამობერილი მუცელი, მუცელი ტიკივით რგვალი და დიდი. კაპიტალისტურმა ბურჟუაზიამ, ქვეყნის მმართველმა კლასმა, კლასმა, რომლის თითქმის ყველაზე უფრო გავლენიანი წარმომადგენელი მე ვარ, უარჰყო ყოველგვარი გონებრივი და ფიზიკური შრომა, რომ სრულიად მისცემოდა თავის კუჭის სამსახურს. იცით რა არის ჩვენი საუკუნის ყველაზე შესანიშნავი მოვლენა, რომელიც უკეთესად ახასიათებს თანამედროვე ეპოქას? ეს არ არის არც ტელეფონის აღმოჩენა, არც დინამიტის გამოგონება, არც კომმუნის აჯანყება, არც სედანის დაცემა; არა—ეს არის პაწია მედალი, რომელიც გამოსჭედეს არტისტებმა, ლიტერატორებმა, ჟურნალისტებმა, ფილოსოფოსებმა, ჟურნალისტებმა, სწავლულებმა, ამ ინტელიგენტურ და განაზებულ ბურჟუაზიის საუკეთესო წარმომადგენლებმა, გამოსჭედეს მომავალ თაობათათვის მოსაგონებლად, რომ მტრისაგან ალყაშემორტყმულ პარიზში, როცა ქალაქი სისხლში ცურავდა, ცახცახებდა ბრძოლის ქარცეცხლში და ბღაოდა სიმშილისაგან, იგინი, ჩვეულებრივად მადიანად სჭამდნენ და სვამდნენ; მხოლოდ ფირფიტანა შუშა აშორებდა მას სათაყვანო საგნებისაგან; ერთის დაკვრით შეეძლო ჩაემტვრია ფანჯარა და მოეგდო ხელში მისთვის სანატრელი პაშტეტი; საკმაოა ოდნავ გადასწიოს კარის ხელი, მცირედ მიაწვეს, გაიწოდოს მკლავები, სტაცოს ხელი და იგდოს პირში მისი კუჭის ბედნიერება... მაგრამ იგი იდგა გაქვავებულივით უძრავად, იძღებდა მხედველობას და მით კიდევ უფრო ამწვავებდა კუჭის სიმშილს... რა სილაჩრეა!

ბუნების შვილი, ველური, არც კი დაფიქრდებოდა, აიღებდა, შესჭამდა და იტყოდა უბრალოდ: „მშიანო“. მაგრამ პოლიციელის შიშმა, ერთხელვე დამკვიდრებულ წესრიგის დარღვევით გამოწვეული ხალხის ზნეობრივ აღშფოთების შიშმა, ერთიან შებოჭა მისი მოძრაობა და დაახშო ბუნების ძლევა-მოსილი გოდება.

უბედური, რისი-ღა ეშინიან?!

კვდებოდა სიმშილით და ამ ტანჯვის მოსაშორებლად თავის მოკვლასაც აპირობდა.

— რად მინდა სიცოცხლე? რა უნდა ვჭამო დღეს, რით მოვიკლა სიმშილი ხვალ, ზეგ, მუდამ ჟამს? რისთვის-ღა ვებღაუჭები სიცოცხლეს, როცა არავითარი აზრი არა აქვს ჩემს არსებობას, როცა სიცოცხლე მთელი უბედურებაა. არა, ამას უნდა ბოლო მოეღოს!.. საბრალო, თვალებითა სჭამ შენს უკანასკნელ სუფრას.

აღელვებული ხმა-მაღლა ლაპარაკობდა.

ამ დროს მიუახლოვდა და ყურადღებით ათვალიერებდა ვიღაც მაღალი, ჩაკურატებული შავ წვერ-ულვაშა, აბურცებულ სახის კაცი, გამობერილის ღიპით, რომელიც ფართო, მჭიდროდ შეკრულ პალტოში ძლივს ეტეოდა; მან მხარზე ხელი დაადო ემილს:

— თქვენ თავის მოკვლას აპირობთ?

— დიაღ,—მიუგო მან უაზროდ.

— თავის მოკვლა გინდათ იმიტომ, რომ გშიანთ?

— დიაღ.

— თქვენა ხართ ახალგაზდა, მოსული ვაჟკაცი, ერთი სიტყვით, ისეთი, როგორსაც დავეძებ. თან წამომყევით.

ემილს ეგონა, თვით ბედისწერა მომევლინაო მხსნელად, და საჩქაროდ დაემორჩილა. უცნობი შევიდა ერთ სახლის პირველ სართულში, დაიჭირა ცალკე ოთახი და მეგობრულად მიიწვია ყმაწვეილი კაცი. სუფრაზე პურის ნაჭრები ელაგა და მშიერმა პურს ხარბად ჩააჭლო კბილები.

— ცოტა კიდევ მოთმინება, ჩემო მეგობარო, გაუფრთხილდით თქვენს მადას, იგი ყველა სიკეთეზე უძვირფასესია! წვნიანს მოუცადეთ.

თვალის დახამხამებაზე გააქრო ემილმა მთელი თეფში წვნიანი.

— კუჭი უბრალო საჭმელებით როდი უნდა ამოიროხოთ, ეს დანაშაულობაა, გემრიელ საჭმელთან პურის შეტანება არ ვარგა, უპუროდ იგემეთ.

ღიპიანი ბატონი კი თვითონ არასა სჭამდა; ემილის მადით მოხიბლული შეჰხაროდა მას, ზრუნავდა მასზე და დარიგებას აძლევდა: ზომიერებას ნუ გადასცდებით,—გეყოფათ ის გაცივებული მწყრები... აწი თუნთრუბა ქათმები მოვა. ნუ დაივიწყებთ, რომ სალათაც გექნებათ. როგორც გამოცდილი მხედარი უჭერს თავს შეხურებულ ულაყს, ისე აზომიერებდა იგი ყმაწვილ კაცის მსუნაგობასაც, ხან შეასვენებდა, ხან ელაპარაკებოდა, თითქო უნდოდა გაეგრძო მისი ბედნიერება.

რამოდენიმეჯერ დაიწყო ემილმა მადლობის გადახდა ამ სიკეთისთვის.

— მადას ნუ აცდენთ უბრალო ლაპარაკით,—მიუგო უცნობმა,—ასეთ კარგ პირობებში იშვიათად თუ გექნებათ როდისმე მადა; ათასს, ათი ათასს ფრანკს გადვიხდიდი, თქვენისთანა მადა რომ მქონდეს. ჭამა ადამიანის უმაღლესი საქმეა. ყველა სარწმუნოებამ ჭამა წმინდა საიდუმლოებად აქცია. ქრისტიანე სარწმუნოების ყველაზე საჭირო იყო სულის ღვთიური დიადობა, რომ დაგევიწყებინა შენს გარშემო მოღალადე გაჭირვება და უბედურობა და ნათელისა და მშვიდობიანის შეგნებით შეგესრულებინა ადამიანის უპირველესი და უაღრესი ფუნქცია *).

ინდოელები, განყენებული მეტაფიზიკოსები, ღიპის—მუცლის შუაგულ წერტილის დანახვაზე

---

*) საგიჟე სახლი, რომელიც პარიზის გარედ უბანში, შარენტონშია.

*) მედალი, რომელზედაც შ... ლაპარაკობს (დეტუში არსად არ იხსენიებს მის გვარს სავსებით) გამოსჭედეს პარიზში რესტორანის პატრონის პოლ ბრებონის პატივსაცემლად; ერთ მხარეზე ეწერა: პარიზის ალყა-შემორტყმის დროს რამდენსამე კაცს, რომელნიც ჩვეულებრივად იკრიბებოდნენ მ. ბრემონის რესტორანში, ერთხელაც არ შეუმჩნევიათ, რომ იგინი სადილობენ და შეექცევიან იმ ქალაქში, სადაც ორი მილიონი მცხოვრები ალყა შემორტყმულია. 1870—71 წ. მეორე გვერდზე ჩამოთვლილი იყო: ბ-ნ პოლ ბრემონს. ერნესტ რენანი, პოლ დესენტ-ვიქტორი, მ. ბერტელო, შ. ბლან, შერერ, დიუმესნილი, შ. ედმონდ, ტიურო, ა. გებრარ, მარეი, ა. ნეფციერი, ე. დე გონკური, თეოფილე გოტიე, ჟ. ბერტრანი·

რამ აკრძალული წიგნები მინახეს და ამისთვის, 15 თვის დატუსაღების შემდეგ, იაკუტსკის ოლქში ექვსის წლით გამგზავნეს; იქიდან გამოვიქეცი და მას შემდეგ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას დავიწყე. სოციალისტ-რევოლიუციონერთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, უნდა მომეკლა გრაფი შუვალოვი ოდესაში მის მოღვაწეობის გამო ტყვიები მოწამლული არ იყო; ამას ექსპერტებიც მოწმობენ, მოწამლული იყო მხოლოდ რევოლვერში დარჩენილი ტყვია, რომლითაც თავი უნდა მომეკლა. თავი ვერ მოვიკალი იმიტომ, რომ ხელი შემიშალეს. სასამართლოში კულიკოვსკი თავდაჭერით ლაპარაკობდა და სარევოლუციო მოქმედებას იმითი ხსნიდა, რომ მშვიდობიანის გზით არაფრის მიღწევა არ შეიძლება. 4 საათზე განჩინება საჯაროდ გამოაცხადეს. კულიკოვსკის ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს. სასამართლოს დარბაზში შეუშვეს მხოლოდ კულიკოვსკის ცოლი და ორი ბავშვი. განჩინება უნდა დაამტკიცოს გენერალ-გუბერნატორმა. კულიკოვსკის განჩინებაზე საკასსაციო საჩივარი შეაქვს.

პეტერბურგი. გ. ი. არაბაჟინსა და თავადს ვ. ვ. ბარიათინსკის პეტერბურგში წინაწარ ცენზურისაგან თავისუფალ გაზეთის „სევერნი გოლოსის“ ნებართვა მისცეს.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრსა და სენატს უმაღლესი ბრძანება: საჭიროდ ვსცანით ამიერ კავკასიის რკინის გზების მოქმედების უზრუნველსაყოფელად მოვიწვიოთ სამსახურში ის სათადარიგო სამხედრო კაცები, რომელნიც ამ გზებზე სამსახურში არიან. ამიტომ გბრძანებთ, წინადვე მოცემულ ინსტრუქციების თანახმად, საჭირო განკარგულება მოახდინოთ იმ პირობით, რომ ყველა ეს განკარგულება სისრულეში მოვიდეს მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიაში მყოფი ჩვენი ნამესტნიკი ისურვებს. ნამდვილზე უწერია ხელი ხელმწიფეს: „ნიკოლოზი“. პეტერგოფი, 16 ივლისი 1905 წ.

ხმა დადის, რომ განზრახულია ყველა საკანონმდებლო პროექტების გადაცემა, სახელმწიფო სათათბირო საბჭოში გადაცემის წინ, ახალ დაწესებულებაში, რომელსაც ერქმევა—მინისტრთა კაბინეტი. ეს განზრახვა სისრულეში თუ მოვიდა, იმ შემთხვევაში ამ თანამდებობაზე, ალბად, თავად სვიატოპოლკ-მირსკის მოიწვევენ.

პეტერბურგი. სახელმწიფო კონტროლერის თანაშემწედ ნამყოფს ჩერევანსკის მაგიერ, რევიზია მოახდინოს ყველა იმ სააქციონერო საზოგადოებაში, რომელსაც კორეის ცნობილ კონცესიონერებთან რამე დამოკიდებულება ჰქონიათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზოგიერთ ნავთის მწარმოებელს ნება დართო თავის ქონების დასაცველად მილიცია მოაწყონ. ამიტომ ამათი წარმომადგენლები ამჟამად პეტერბურგში ყიდულობენ თოფიარაღსა და პატრონებს.

კრამარენკოს მკვლელის პროკოპეს საქმე სამხედრო-სასამართლოს არ გადაეცემა. ამ საქმეს ფინლიანდიის ჩვეულებრივ სამოსამართლო წესით განიხილავენ.

ნოვოროსიისკი, 23 ივლისი. დიდი ქარია. რკინის გზის საწყობები იწვის.

კიშინევი, 23 ივლისი. საშინელი სიცხეა, რომელიც 46° ადის.

ოდესა, 23 ივლისი. ნავთსადგურში არეულობის დროს დაიწვა 30,000 ფუთი შაქარი, რომელიც წინა დღით იყო მოსული გასაგზავნად ფოთსა და ალექსანდრიაში.

ვაშინგტონი, 23 ივლისი. შანხაიში მყოფი ამერიკის კონსული იტყობინება, შანხაის სავაჭრო პალატამ გადასწყვიტა, ამერიკის ნაწარმოების ბოიკოტი დავსრულოთო.

სიმლა, 22 ივლისი. ხმები დადის, პეშავერიდან ავღანის საზღვრამდე რკინის გზის შესახებ შემოდგომიდან შეუდგებიანო.

ნიუ იორკი, 22 ივლისი. მალე აქედან გავა ექსპედიცია, რომელსაც აზრად აქვს დიდ ოკეანეზე მაგნიტური მოვლენანი გამოიკვლიოს.

ჰელსინგფორსი, 22 ივლისი. რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ფინლიანდიის პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები ადგილობრივ სასამართლოში კი აღარ გაარჩეს, არამედ ეს საქმეები რუსეთის სამხედრო სასამართლოებს გადაეცეს ხოლმეო. ფინლიანდიის სენატმა მის უდიდებულესობასთან იშუამდგომლა, რომ ეს გადაწყვეტილება სისრულეში არ მოეყვანათ. ახლა რუსეთის მთავრობამ შეატყობინა ფინლიანდიის სენატს, შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქმნაო.

პარიზი, 23 ივლისი. ნაციონალისტმა გიიო ვილნოვმა განაცხადა, პინიეს დასაშვნის გამო ცნობებს დაბეჭდვის შესახებ ხელმეორედ გამოვაქვეყნებო.

„ეკლერი“-ს მოჰყავს ცნობები, რომ მარშან პინიემ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო ჟურნალისტი-სოციალისტი, რომელმაც დრაგუნ ოფიცერს შეურაცხყოფა მიაყენა და მერე საზღვარს დაჰშორდა ერთს უნტეროფიცერს იმისთვის, რომ მათ დრაგუნების წინააღმდეგ ლაპარაკის.

ვილნო, 23 ივლისი. პოლიცმეისტერი ურჩევს მცხოვრებლებს, ახლა ნუ მიაკარებიან ბრბოს, რომლებსაც ჯარმა გაფანტვის დროს, შეიძლება, თოფიც ესროლოსო.

პეტერბურგი, 23 ივლისი. სანავთო რჩევის დღევანდელ სხდომაზე ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით შეიმუშავეს სხვადასხვა ზომები, რომლის განხორციელებაც ახლავე შეიძლება და ძალიან სასარგებლოც არის. მაგალითად, ყველგან, სადაც კი შეიძლება, განსაკუთრებით კი რკინის გზებზე, ნავთის მაგიერად ხმარებაში ნახშირი უნდა შემოვიდეს, უნდა გადიდდეს მაზუთის წარმოება და უნდა ვეცადოთ, საზღვარ-გარეთის ნავთი შემოვიტანოთ ხოლმე. ამასთანავე საჭიროა, რომ პეტროვსკიდან ბაქომდე ნავთის გადატანაზე დადებული გადასახადი შემცირდესო.

ბერლინი, 23 ივლისი. „ნორდდოიჩე“-ს სიტყვით, გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის გუბერნატორი იუწყება, რადაც მიზეზებისა გამო ბავუმბის მთებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აჯანყება მოახდინესო.

სევასტოპოლი, 23 ივლისი. ტრანსპორტ „პრუტზე“ მომხდარ არეულობის შესახებ გამოძიებას დაიწყო. გამოწვეულია 78 მოწმ. გამოძიება სამ დღეს გაგრძელდება.

ხერსონი, 24 ივლისი. ხერსონის გუბერნატორმა ერობებს გაუგზავნა ცირკულიარული განკარგულება, რომელშიაც სწერს, ერობას ნება არა აქვს მიიღოს სოფლების მცხოვრებლებისაგან პეტიციები უმაღლესს სახელზე სახელმწიფო კეთილდღეობის შესახებ, და საჭიროა, ერობაში მოსამსახურეებზე ერობამ მეტი ყურადღება იქონიოსო.

ოპატოვი, 24 ივლისი. 40 შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა ხაზინა. წაიღეს 20,000 მან. ორი დარაჯი მოკლულია, სამი დაჭრილი. ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილია. ბოროტ-განმზრახველები მიიმალნენ.

პავლოგრადი, 24 ივლისი. სინოლნიკოვის თოფის წამლის ქარხანაში თოფის წამალმა იფეთქა. მოკლულია ერთი, დაჭრილია სამი.

მოსკოვი, 24 ივლისი. დაიჭირეს ქურდების ერთი ჯგუფი. მარტო მოწყობილება სადგომისა, რომელშიაც ეს ქურდები იდგნენ, 20,000 მანათად დააფასეს.

შერბურგი, 24 ივლისი. საფრანგეთის ესკადრა საღამოზე კოუსს წავიდა.

ოსტადი, 23 ივლისი. (შვეცია). დღეს, დილით, აქ მიწა იძრა.

ბელგრადი, 23 ივლისი, რადგანაც მთავრობას პარტიაში შედის სულ 81 დეპუტატი, რომელთაგან ბევრს ხელ-მეორედ არჩევა დასჭირდებოდა, და რადგანაც ამორჩევა კანონიერი ვერ იყო, ამისთანა პირობებში მთავრობას არ შეუძლიან სკუპშტინაში მონაწილეობა მიიღოს. სამსახურს თავი დაანებეს: მინისტრ-პრეზიდენტმა, სარწმუნოებისა და გარეშე საქმეთა მინისტრებმა. ჩვეულებრივ კაბინეტის შედგენის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მდგომარეობა მძიმე და გამოურკვეველია.

კიევი, 24 ივლისი. გუშინ საღამოს ებრაელ კოზსის სადგომში მივიდნენ ცხრამეტის წლის ებრაელი-ქალი მანზონი და ეკატერინოსლავის სამთო სასწავლებლის ყოფილი სტუდენტი ორენტლიხერი პატარა ხანს უკან ორენტლიხერმა ესროლა თავში რევოლვერი მანზონს, რომელიც მალე გარდაიცვალა. მიზეზი გამოურკვეველია. კოზსის სადგომში პოლიციამ აღმოაჩინა თოფებისა, რევოლვერებისა და სხვა იარაღის საწყობი.

ოდესსა, 24 ივლისი. გენერალ-გუბერნატორის დადგენილებაში ნათქვამია: 20 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მეშჩანის ქუჩაზე თავი მოიყარა 150 კაცისაგან შემდგარმა ებრაელთა ჯგუფმა. მეპოზვემ სთხოვა დაიშალეთო, მაგრამ სამი ებრაელი ეცა და მისი მოკვლა განიზრახა. მეპოზვემ ერთი დაიჭირა, დანარჩენნი გაიქცნენ. დაჭრილი გვარად ბლაუნშტეინია. შემდეგ თავი მოიყარა 500 კაცზე მეტმა ებრაელმა და დაჭერილის განთავისუფლება მოინდომა. ყველაზე მეტად თავ-გამოდებული ბერკოვიჩი იყო. ის შევარდა ეტლზე და უნდოდა ბლაუნშტეინი განეთავისუფლებინა, მაგრამ დაიჭირეს. ამავე დროს გურალნიკის მაღაზიიდან პოლიციელებს დაუშინეს ქვები და თოფები. გუბერნატორმა დაადგინა, ბლაუნშტეინი, ბერკოვიჩი და გურალნიკი ოლონეცის გუბერნიაში გაიგზავნოს, ხოლო გურალკინის მაღაზია დაიკეტოს.

ბერლინი, 24 ივლისი. რამდენად სასტიკად სდევნიან გერმანიაში ჯაშუშებს, შემდეგი გარემოება მოწმობს: პრინცი ფრიდრიხ-ჰენრიხი პრუსსიისა სვინემუნდის ახლოს ფოტოგრაფიულ სურათებს იღებდა, ხალხს ჯაშუში ეგონა და დაატუსაღა, მაგრამ როცა მისი ვინაობა გაიგო, გაანთავისუფლა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

24 ივლისი

ოისტერბეი, 24 ივლისი. გემ. „მაიფლაუერ“-ზე რწმუნებულნი ერთმანეთს შეხვდნენ და მეგობრულად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ეტყობათ, სურვილი აქეთ, მოლაპარაკების დროს გულ-ახდილად ეჭირათ თავი. რუზველტის წინადადებით, საზოგადოება მთავარ სალონში გადავიდა. რუზველტი წინ მიდიოდა, შემდეგ ვიტტე და კომურა ერთად, მათ შემდეგ როზენი და ტაკახირა. საზოგადოებამ ზეზეურად ისაუზმა. შემდეგ რუზველტმა სტუმრები გვერდზე გაიხმო. მალე ცხარე ლაპარაკი დაიწყო. გამოთხოვების დროს იაპონელებმა დახვედრისთვის მადლობა გადუხადეს და რუსებს ხელი ჩამოართვეს. შემდეგ ესკადრა ადგილიდან დაიძრა. წინ მიდიოდა „ჰალვესტონი“, შემდეგ „დელფინი“ და „მაიფლაცერი“. გემები ნელა მიდიოდნენ, რომ პორტ-სმუტში ორშაბათს, დილის 10 საათს, მივიდნენ.

პარიზი, 24 ივლისი. პრეზიდენტის გემ „მაიფლაცერ“-ზე საუზმის დროს, მას შემდეგ, როცა რწმუნებულნი ერთმანეთს მიესალმნენ, რუზველტმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „ვსვამ სადღეგრძელოს, რომელსაც არავითარი პასუხი არ უნდა და რომლის შემდეგაც გთხოვთ ეს სადღეგრძელო უსიტყვოდ და ზეზეურად დალიოთ; ვსვამ სადღეგრძელოს ორის დაუძეგებულის ერის მონარქებისას, რომელთა წარმომადგენელნიც დღეს ამ გემზე ერთმანეთს შეხვდნენ. ჩემი გულმხურვალე სურვილი და გულწრფელი თხოვნაა, რომ მალე ჩამოვარდეს ზავი, სამართლიანი და საფუძვლიანი; ამას თხოულობს არამც თუ მარტო ორის სახელმწიფოს კეთილდღეობა, მთელი კაცობრიობაც“. საუზმის დროს ყველა წმინდის გულით ლაპარაკობდა. იაპონელები გრძნობით ეთხოვებოდნენ რუსებს და ეუბნებოდნენ: „ნახვამდის, ორშაბათამდის“. როდესაც იაპონელების რწმუნებულთ გამოიარეს, ხალხს ხმა არ ამოუღია, ვიტტემ კი როცა გამოიარა, ხალხი ალტაცებით მიეგება.

პარიზი, 23 ივლისი. სახალინის დაჭერის გამო „ტანი“ აცხადებს, რომ ეს ფაქტი და ამასთანავე ის გარემოებაც, რომ კონტრიბუციის საკითხს რუსეთი და იაპონია სხვადასხვანაირად უყურებენ, ზავისთვის კარგ პირობებს ვერ წარმოადგენსო. ამისთანა აზრი ტრიალებს საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. ვიტტე და როზენი პრეზიდენტთან მივიდნენ ოისტერბეიში. ვიტტემ პრეზიდენტს ხელმწიფე იმპერატორის წერილი გადასცა. დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ მოლაპარაკებას, რომელიც პრეზიდენტთან ინგლისის ელჩს დიურანს ჰქონია. ამბობენ, ელჩი ჯერ კომურას მოელაპარაკაო.

ნიუ იორკი, 23 ივლისი. იაპონიისა და რუსის რწმუნებულნი ოისტერბეიში კრეისერ „ჩატანუგ“-ით წავიდნენ.

ტოკიო, 22 ივლისი. მიმავალი მოლაპარაკება ყველას ყურადღებას იქცევს. საზოგადოებრივი აზრი გამსჭვალულია იმ გადაწყვეტილებით, რომ იაპონიამ უნდა მიიღოს მხოლოდ ისეთი პირობები, რომელიც მისს გამარჯვებას შეეფერება; წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა უნდა გაგრძელდეს.

ოისტერბეი, 23 ივლისი. გემს „მაიფლაცერს“, რომელზედაც პრეზიდენტი რუზველტი იმყოფება, იაპონიის რწმუნებულნი მიუახლოვდნენ და რუზველტს წარუდგნენ. მათ პატივსაცემლად 19-ჯერ ზარბაზანი გაისროლეს და რუზველტი ისეთისავე ცერემონიით დაუხვდა, როგორც იაპონიის რწმუნებულთ. საუზმის დროს რუზველტმა ამნაირი სიტყვები წარმოსთქვა: „ვსვამ ორისავე ერის მეფეთა სადღეგრძელოს; ღმერთსა ვთხოვ, რომ მათ შორის, რაც შეიძლება, სამართლიანი და მტკიცე ზავი შეიკრას“-ო.

სიტიაზა, 23 ივლისი. 20 ივლისს, დილით, რუსის რაზმების ერთი ნაწილი შიმიაოძისკენ გაემართა; მეორე ნაწილმა, ლიძიატაი-ნან მანჩენძის ფრთედი გასამაგრებლად, პირველი [illegible] წანშანჩენძი დაიჭირა. იაპონელებმა ორ ვერსზე თხრილები დაიჭირეს. საღამოთი იაპონელებმა უმთავრესს პოზიციებისკენ დაიხიეს. 21 ივლისს, დილით, რუსის ჯარმა წინ წაიწია. იაპონელების კონტრ-იერიში რუსებმა მოიგერიეს და ისევ წინანდელ პოზიციაზე დაბრუნდნენ.

ვლადივოსტოკი, 22 ივლისი. ქალაქი კიონსიონი იაპონელის ბაზას წარმოადგენს. აქ მათ შეუძლიათ ჯარი და სურსათი გადმოზიდონ.

სიტიაზა, 22 ივლისი. 20 ივლისს, საღამოთი, კაოხოს მინდორზე, კაზაკები იაპონელებს ჩაუსაფრდნენ. როდესაც კაზაკებმა თოფი დაუშინეს, იაპონელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. როგორც ხმები დადის, ფუშუნთან კორეელთა რაზმები სდგანან; ტანისამოსი იაპონური აცვიათ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვლადივოსტოკი. „მორნინგ პოსტ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: გენერალ ხასეგავას არმია მდინარე ტუმენს მოადგა და, საცაა, ვლადივოსტოკსაც გზას მოუჭრის და ალყას შემოარტყამს. ამ გარემოებამ გენ. ლინევიჩი შეაფიქრიანა. ლინევიჩმა ბრძანება მისცა ვლადივოსტოკის ჯარს და ნათლად აღნიშნა ვლადივოსტოკის ესკადრის მნიშვნელობა და დანიშნულება. ბრძანებაში ნათქვამია, „ბოგატირ“-ისა, „როსსია“-სი და „გრომობოი“-ს მეზღვაურებმა ამ გემებს თავი უნდა დაანებონ, ნაპირზე გადმოვიდნენ და სხვა ჯართან ერთად იბრძოლონო. ამრიგად, ვლადივოსტოკის ესკადრა, რომელიც ოთხ კრეისერისაგან და ათიოდე ნაღმოსნისაგან შესდგება, ფაქტიურად აღარ არსებობს და ბოლოს, უეჭველია, იაპონელებს ჩაუვარდება ხელში. საგულისხმო ის არის, რომ ციხის უფროსობას ლინევიჩი ვლადივოსტოკის კომენდანტს გენ. ყაზბეგს აბარებს და არა ამურის ოლქის უფროსს, როგორც პორტ-არტურში მოხდა. იაპონიის მეექვსე არმია, გენ. ხასეგავას უფროსობით, აჩქარებით მიდის ვლადივოსტოკისკენ და რუსების რაზმებს, რომელთაც მდინარე ტუმენი უნდა დაეცვათ, წინ მიერეკება. იაპონელებმა კიონჩენი აიღეს და ამით რუსების რაზმები ცუდ დღეში ჩააგდეს. ამ ქალაქთან ჩამოდის მდინარე ტუმენი, რომლის შესართავშიაც იაპონიის ნაღმოსნები გამოჩნდნენ და რუსებს გზის მოჭრა დაუპირეს (რ. ს.).

რუსეთის ახალი სესხი. პარიზიდან „რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ: ვიტტეს დანიშვნამ რწმუნებულად ისეთი კარგი გავლენა იქონია ინგლისელებზე, რომ მეფე ედუარდის დახმარებით ინგლისელ ფინანსისტებმა დაადგინეს, თუ რუსეთი ზავს ჩამოაგდებს და შინაც რეფორმებს შემოიღებს, საფრანგეთის ფინანსისტებს მხარი დავუჭიროთ და რუსეთს კონტრიბუციის გადასახდელად ფული ვასესხოთო, რუსეთისა და იაპონიის დამეგობრებას ხელი შევუწყოთ და გერმანიის ხელის ფათურს ჩინეთში წინ აღვუდგეთო. იაპონიის ელჩს გაიაშისაც უთქვამს, იაპონიის ხალხი რუსეთის ხალხს არა მტრობს და დიდის სიამოვნებით დაუმეგობრდებაო. (რ. ვ.).

პარიზიდან „ბირჟევ. ვედომ.“-ს ატყობინებენ: ვიტტემ მოლაპარაკება დაიწყო ახალ სესხის შე-

---

მისტიკურ ალტაცებაში მოდიან. კუჭი—კაცობრიობის ჭეშმარიტი ღმერთია; მხოლოდ მის დასაკმაყოფილებლად ამუშავებენ მიწებს და გადადიან ზღვებიდან ზღვებზე; კუჭი—ადამიანის მოქმედებათა უძლეველი და მუდამ დაჭიმული ძარღვია; მის ასავსებათ გადმოაქვთ და თავს უყრიან დიდს ქალაქებში მთელის ქვეყნის სხვადასხვა ნაწარმოებთ; მისი ურიცხვი მოთხოვნილებანი და გაუმაძღარი მადა მთელის ქვეყნის ხალხს ერთმანეთში აერთებს. ეშმაკმა წაიღოს,—ასე მგონია, თითქო „სიტყვას“ ვამბობდე ხალხში. ეს თქმა იდეალთა მწვერვალზე მასკუპებს,—დავუბრუნდეთ მიწას...

რა საბრალო ცხოველია ადამიანი! რამდენად ნაკლიანია, რამდენად დაბლა სდგას დედამიწის სხვა დანარჩენ ცხოველებზე; ბუნებამ დედინაცვლობა გაუწია მას. მას არ მიუცია ადამიანისთვის ჟირაფის უძირო ყელი, რომ მეტს ხანს და ნელნელა ეწაფოს წითელს ნუნუას, არც იხვის მხურვალე და გაუმაძღარი კუჭი, რომელიც შეუწყვეტლივ ინელებს და ინელებს; საჭმელს ამ მთელს სამყაროზე გამეფების მსურველს უფრო მკაცრად მოექცა, ვინემ მუცლის ჭიებს,—ესენი მომაკვდავთა შორის უბედნიერესი ქმნილებანი არიან, საზრდოობენ ნოყიერ წვენით და მუდმივათ შეუძლიათ ჭამა-სმა მთელის თავიანთი არსებით!..

ადამიანის კუჭის მოქმედება განსაზღვრულია, ნამეტანი განსაზღვრულია და, კიდევ, ჩვენდა საუბედუროთ, თვალები უფრო გაუმაძღარი გვაქვს, ვიდრე კუჭი. მაგრამ თუ ჩემი კუჭი ადამიანის ასეთი სისუსტითაა დაავადებული, მე შემიძლია მისი ენერგიის გაფართოვება, გაძლიერება სხვისი მადის ყიდვით, როგორც ჩემი თანამოძმე კაპიტალისტები ყიდულობენ თავიანთ მსგავსთა სათნოებასა და სინიდისს. ამნაირად, მე წინადადებას გაძლევთ, მომყიდოთ თქვენი საჭმლის მომნელებელი ენერგია, ისე, როგორც ჩემი მუშებისაგან ვყიდულობ მე მათს მკლავის ძალას, ინჟენერებისაგან—გონებას, კასსირებისგან—პატიოსნებას, ძიძებისაგან, რომელნიც ჩემს შვილებს ასაზრდოებენ,—მათს რძესა და დედობრივს მზრუნველობას.

— ნუ თუ ეს შესაძლებელია?!

— ძალიან კარგადაც. თქვენ აწარმოებთ მადას, მე ვჭამ და ვსვამ თქვენს მაგივრად და თქვენ კი მაძღარი იქნებით. მორალისტები—ეს სევდიანი და ბოროტების მომტანი ორფეხნი, გვიქადაგებენ შევიძაგოთ ის, რასაც იგინი ზიზღით ეძახიან პირუტყვულ კმაყოფილებას. თქვენ იმდენად ახალგაზდა და გულ-უბრყვილო ხართ, რომ დამიჯერეთ და დამეთანხმეთ, მომყიდეთ თქვენი მადა, რომელიც ასეთ შრომასა და ზრუნვაში გაგდებთ, და თქვენ გექნებათ ოქრო, რითაც მოიპოვებთ ყველა შესაძლებელ კმაყოფილებას; თვიურად მიიღებთ ჩემგან 1500 ფრანკს.

— მაგრამ...

— უმაგრამოთ: იქნება ეს ფული გეცოტავებათ? მაშ—ორი-ათას ფრანკს მოგცემთ. მოიფიქრეთ, თუ ჩემ წინადადებაზე უარს მეტყვით, თქვენ არსად არ გექნებათ დღეს საწოლი და ხვალ სადილი, ხოლო, თუ დამთანხმდებით—ლამაზი ქალები მოგიწვევენ საკეკლუცოდ და საალერსოდ.

დეტუშს თვალები ენთებოდნენ.

— 2,000 ფრანკი! ორი ათასი ფრანკი თვეში,—რატომაც არა! რა უნდა გავაკეთო?

— ხელი მოაწერეთ ნოტარიუსთან პირობას. აგრე ნუ შემომცქერით; დასწყევლოს ღმერთმა, ეშმაკი არა ვარ!.. მეც ისეთივე ჩვეულებრივი მომაკვდავი ვარ, როგორც თქვენ. ვერც ნაპოლეონ პირველის ძლიერებამ, ვერც დარვინის მეცნიერებამ დღეში ორჯელ სადილობა ვერ მოგვახერხებინეს. მე კი ხელში მაქვს ამის საიდუმლო და ძვირფასი წამალი. მეოცე საუკუნე, ბურჟუაზიის დიდებულ ფილოსოფოსის ოგიუსტ კონტის გამოცხადებით, ალტრუიზმის საუკუნეა; მართლაც არაოდეს, არც ერთ ხანაში არ იცოდნენ ასე კარგად სხვის ძარცვა-გლეჯა. კაპიტალისტის-მიერ ადამიანის ძარცვა ისე გაუმჯობესდა, რომ პიროვნების საიდუმლო თვისებანიც კი შესაძლებელია სხვამ მოიხმაროს თავისთვის. კაპიტალისტი, თავის საკუთრების დასაცველათ, თავის სიმამაცეზე კი არ არის დამყარებული, არამედ ჯარის კაცად გადაცმულ პროლეტართა სიმამაცეზე; ბანკირი სარგებლობს, ხმარობს თავის კასსირის პატიოსნებას, მრეწველი—მუშათა მაცოცხლებელ ძალ-ღონეს.

მხოლოდ ორი საგანი ვერ დაუმორჩილებია კაპიტალისტის ალტრუიზმს,—ეს დედაკაცის ორსულობა და საჭმლის მომნელებელი ძალაა. დღემდის ვერავინ შესძლო მათი გასაყიდ საქონლად ქცევა, მათი ყიდვა-გაყიდვა, როგორც იყიდება ქალის უმანკოება, მღვდლის სათნოება, დეპუტატის სინიდისი, მწერლის ნიჭი და ქიმიკოსის სწავლულობა.

ამ სასწაულის მოქმედი კაცი ბევრად უფრო დიდებული იქნებოდა, ვინემ კარლოს დიდი, ბევრად უფრო მსწავლული, ვინემ ნიუტონი. ის იქნებოდა ღარიბ კლასის დიდებული მოკეთე. მაშინ მდიდარი ქალი არ დაიმახინჯებს თავის ტანადობას სიყვარულის ნაყოფის რამოდენიმე თვის განმავლობაში ტარებით; ჩასდებს რომელისამე ღარიბის საშვილოსნოში განაყოფიერებულს თესლს. და ის ცხრა თვე, რომლის განმავლობაში საშვილოს გამქირავებელი ასაზრდოებს თავის სხეულის სისხლით კაპიტალისტ-ქალის ჩანასახს, მასთვის სიღატაკისაგან დასვენების დროდ შეიქმნება. პირველად ეღირსება თავის სიცოცხლეში მაძღრად ყოფნას თავის ნებაზე დასვენებას... ღარიბისათვის აღარ იქნება საშიში მისი საზარელი მტერი—სიმშილი. ის კიდევ უფრო განავითარებს თავის მადას, რომელიც სასურველ საქონლად იქცევა მილიონერთათვის, რომელნიც მუდამ ეძებენ ამ უმაღლეს ბედნიერებას და რომლის აღმოჩენაც ვერ შესძლო ბრძენთა ფილოსოფიამ. აბა, მაშინ ნახე, რა ფასი ექნებათ ღარიბებს! მე ვიცი იმის წამალი, რომ სხვას მოვანელებინო ის, რასაც მე ვჭამ; მე გამოვააშკარავებ ამ საიდუმლოს მხოლოდ სიკვდილის წინად.

— ხუმრობთ.

— არა, ჩემო ძვირფასო; სხვას მოვანელებინო ჩემს კუჭში ჩასული საჭმელი!—ეს იმაზე საოცარი არ არის, არც იმაზე მეტად გაუგებარია, რომ ლონდონში ან ნიუიორკში ტელეგრაფის შემწეობით იმავე წამში სრულდება ჩემი სურვილები, რა წამშიაც მე აქ მომივა აზრად. და რომ ჩემი ნათქვამი ხუმრობა არ არის, მიიღე იმის ნიშნად პირველ თვის ორი ათასი ფრანკი.

შ... და დეტუში გაემართნენ ნოტარიუს გაბარის კანტორისაკენ, რომელმაც შეადგინა ნამდვილი პირობა, და ორთავე მხარეს ხელი მოაწერინა. ემილ დეტუშმა მიჰყიდა ხუთის წლით თავის მადა ორი ათას ფრანკად თვეში შ...ს, რომელსაც უნდა წინწინ ეძლია აღთქმული ფული. პირობის შეკვრის შემდეგ ემილმა გადაჰკრა და დაიძინა. გაეღვიძა მას ერთ ყავახანაში, წინ იყო ჭიქა ლუდი და სქელ-სქელი ქალი, რომელიც ბრიყვულად იცინოდა ემილს სიზმარი ეგონა, დაიწყო თავის-თავის შინჯვა, შემდეგ ჯიბეში ოქროს წააწყდა, რომელიც შ—საგან მიეღო; მაძღარიც იყო... მაშ ყველაფერი სინამდვილე ყოფილა!

ეშმაკმა იცის, სად გაატარა მან უცნაურად დაწყებული საღამო.

ყველაფერი კარგია, რაც ახალია—ამბობს ხალხური სიბრძნე. ახალ ცხოვრების დასაწყისს ალტაცებაში მოჰყავდა ემილ დეტუში; დილის 10 საათზე, როგორც მორწმუნეს ეწვევა ხოლმე სარწმუნოებრივი ექსტაზი, ისე იგიც გრძნობდა, რომ მის კუჭში ჩადიოდა და ჩადიოდა სასმელ-საჭმელები, რომელთაც ის თვითონ არა სვამდა და არა სჭამდა; ის არ გებულობდა მათს გემოსა და სუნს—მისი საქმე მხოლოდ მათი მონელება იყო.

მისი ბატონის პირითა და ყელით მიღებული სადილი გრძელდებოდა ორი საათი; დამძიმებულის თავით, მოსხლეტილი, იგი თვლემაში ატარებდა დღის ერთს ნაწილს და ნელ-ნელა ინელებდა სხვის-მიერ ჩაყლაპულ ხორცსა და ღვინოს. სამს საათზე იგი სეირნობდა, რომ შეემსუბუქებინა მეტად დამძიმებული კუჭი: ასეთი იყო პირობის ერთი მოთხოვნილება. საღამოს ისევ ივსებოდა მისი კუჭი და იგიც კიდევ და კიდევ მოჯადოებულივით იმავე გარინდებულ მდგომარეობაში ვარდებოდა. ასეთი მსუნაგობა არ ეუცხოვებოდა მის მაგარ სოფლელის აგებულობას და ხშირად პოულობდა დროს იმ სიამოვნებისათვის, რომელსაც აკლებდა მას სიღატაკე: კოხტად და სუფთად იცვამდა და არშიყობდა ქალებში.

— მე ვარ ახლა საჭმელებით გატენილი ტომარა,—ეუბნებოდა თავის თავს დეტუში:—ჩემი ცხოვრება ძალიან წააგავს იხვის ცხოვრებას, რომელსაც მხოლოდ მეტ გემოვნების მისაღებად ასუქებენ; ჩემს პირს არ ეცხება არც ღვინო, არც რამ სხვა საჭმელი, რომლითაც ტვირთავს ჩემი ბატონი ჩემს კუჭს. მორჩა! ყნოსვას მოკლებული ადამიანი სწორედ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც მე; ეს გრძელდება კი სულ ხუთ წელს; ამ ხნის განმავლობაში მე არა თუ თავისუფალი ვარ ცოხნის შრომისაგან და ლუკმა-პურის ძებნაზე პირუტყვულ ზრუნვისაგან, არამედ ათს, ოცი-ათას ფრანკსაც მოვუყრი თავს წელიწადში. ამნაირად, ჩემი ცხოვრება სახარბიელო გახდება იმ მუშებისათვის, რომელნიც წელმომწყვეტ შრომას ეწევიან მადნებსა და სახელოსნოებში.

ასე ინუგეშებდა თავს დეტუში, ადარებდა რა თავის შრომას სხვა დაქირავებულ მუშების შრომასთან. მას ახალისებდა ის აზრი, რომ მისი შრომა დროებითია და ბოლოს იმოდენა სიმდიდრე შეკრებს, რომ ბურჟუასავით უზრუნველად იცხოვრებს.

წმინდა ჰაერზე ვარჯიშობამ და ქალების დევნამ მის მაგარ აგებულობაზე ამნაირ მსუნაგობის ცუდი გავლენა ვერ მოსპო: იგი სუქდებოდა, კუჭი გაუზარმაცდა და თვითონაც მუდამ ცუდ გუნებაზე იყო. ბ-ნი გაბარი, ვისგანაც იგი ჯამაგირს იღებდა ყოველ თვიურად, ჰკიცხავდა ხოლმე და უსაყვედურებდა როსკიპ ქალებთან უძილო ღამეების ტარებას. გრძნობათა ჭარბად დაკმაყოფილებამ დაუჩლუნგა მადა და შესუსტა მისი კუჭის ძლიერება, რომელიც გაყიდვის შემდეგ მას აღარ ეკუთვნოდა; დეტუში იმ მუშის მდგომარეობაში ჩავარდა, რომელიც წლის ვადით უქირავებიათ და რომელსაც არ შეუძლიან თავის სურვილისამებრ მოიხმაროს დრო და ძალა და იძულებულია დაემორჩილოს იმის საჭიროებას, ვისაც მას ჯამაგირს აძლევს. მაშინ ემილმა დაიწყო ფიქრი ცოლის შერთვასა და სოფლურ ცხოვრებაზე,—შევუდგები ნადირობას, ცხენით მგზავრობას, მიწის შემუშავებას; ჩემი კუჭი დაიბრუნებს წინანდელ ძალ-ღონეს და გაუადვილდება მისი ბატონის ნადიმების ატანა და მონელებაო.

მან თავი ანება საარშიყო საქმეებს და გაიორკეცა სხეულის ვარჯიშობა; მაგრამ, რაც უფრო აძლიერებდა თავის კუჭს და მით აძლიერებდა საჭმლის მომნელებელ უნარს, მით უფრო უმატა მისმა ბატონმაც მიღებულ საჭმელების რაოდენობას, თითქო უძირო ქვაბში ჰყრისო.

ნოტარიუსმა მოუძებნა მას ლამაზი, კარგი ოჯახის და მზითევიანი საცოლო. მორჩნენ საქორწინო კონტრაქტს და შეუდგნენ ოფიციალურად სასძლო-სასიძოს წარდგენას. ემილი, განწმენდილი და გასპეტაკებული, გამოცხადდა იმედებით აღსავსე; მან უკვე წარმოიდგინა თავი მემამულედ, რომელიც საკუთარ ჯოგის მოვლა-მოშენებას თვალყურს ადევნებს. სამი საათი გავიდა, რაც ბატონმა თავის კაცი-ჭამია საუზმის უკანასკნელი ლუკმა ჩაგზავნა მის კუჭში და ჩვეულებრივად უნდა დაესვენა, რომ მოენელებინა.

მაგრამ, ის იყო, შევიდა დეტუში თავის სასიდედროს სასტუმრო ოთახში, რომ იგრძნო, როგორ ხელახლად ივსებოდა მისი ისედაც დატვირთული კუჭი. მის ბატონს რაღაც უსიამოვნება შეხვდა და მოწამლულ გუნებაზე იდგა; და, აი, რომ გაფანტოს ასეთი სულის მდგომარეობა, მიუჯდა სუფრას და გიჟივით ილუკმებოდა: უსვენებლივ სვამდა უშველებელ ბოთლებიდან სასმელებს.

საბრალო ემილმა მეტი ვეღარ შესძლო... კუჭის კანი ისე გაუფართოვდა, რომ თითქმის გაუსქდა; იგი მოსხლეტით დაეშვა სავარძელში

სახებ, მაგრამ მალე შესწყვიტა, რადგან ამერიკიდან დეპეშა მოუვიდა, ჩვენ გასესხებთ საჭირო ფულს ხელსაყრელ პირობებით, ოღონდ რუსეთმა რეფორმები მოახდინოსო. ერთის სიტყვით, მთელი ქვეყანა მზად არის რუსეთს ხელი შეუწყოს და კონტრიბუციის გადახდა უშველოს, მაგრამ ერთის პირობით კი, რომ რუსეთში კონსტიტუცია უნდა იქმნას შემოღებული (რ. ვ.).

პორტ-არტურის წარსულიდან. „ბირჟ. ვედომ.“-ში დაბეჭდილია საინტერესო ცნობები პორტ-არტურის ისტორიიდან. გენ. სტესელმა,—სწერს ავტორი,—ცნობილ „პატრიოტ“ ბოგდანოვიჩისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც ეწერა: გამარჯვებას გილოცავთ და იმედი მაქვს არტურშიაც გაჩნდებიან ახალი კორნილოვი, ნახიმოვი და ისტომინიო. ეს დეპეშა სტესელმა დაბეჭდა და ჯარს გამოუცხადა. ყველაფრიდანა სჩანდა, რომ ნახიმოვად და ისტომინად სტესელს თავის თავი და ფოკი მიაჩნდა. გენ. ბოგდანოვიჩს სტესელის ნებადაურთველად პასუხი მისცა პორუჩიკმა კორსელაძემ, რომელმაც მისწერა: „თქვენო აღმატებულებავ! ნახიმოვები არა გვყავს, უნიჭო და მუქთა-ხორა გენერლები კი ბლომად მოგვეპოვებაო“. სტესელმა კორსელაძე სამხედრო სამართალში მისცა. სასამართლოში კორსელაძის სასარგებლოდ ილაპარაკა პოლკის უფროსმა სელივანოვმა, რომელიც ამისათვის სტესელმა პორტ-არტურიდან განაძევა. კორსელაძე რამდენისამე დღით დააპატიმრეს (ნ. ჟ.).

ახალი ამბავი

ქ. გორიდან გვატყობინებენ: კვირას, 24 ივლისს, რკინის გზის სადგურზე **სრულიად უმიზეზოდ ძალზე სცემეს მემამულეს დიმიტრი დიასამიძეს**, რომელიც დაშავებულია მარცხენა ხელში, მარჯვენა თეძოში და ფეხში. ამ საქმის ჩამდენი, როგორც მოწმობს შეგროვილი ხალხი, „კეთილშობილთა“ მილიციის წევრნი: დავით მესხელიშვილი, ლენტო დიდებულიძე და ერთი ციციშვილთაგანი ყოფილან. დაშავებული დიასამიძე ქალაქს წასულა სამკურნალოდ.

✦ ი. გ. მელიქოვის თხოვნით, გამომძიებელმა ინგუშს აბას-ხოსჩიროვს, რომელსაც **თავ. ხერხეულიძის მოკვლა ჰბრალდება**, 500 მან. თავდები მოსთხოვა და ციხიდან გაანთავისუფლა.

✦ როგორც ამბობენ, ქუთაისის გუბერნატორს სტაროსელსკის აზრად აქვს, უმაღლესის მთავრობის ნებართვით, ქუთაისის გუბერნიის **ყველა სოფელში დასტოვოს ხალხის-მიერ არჩეული ათისა და ასის თავები.**

✦ 22 ივლისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში ვიღაც უცნობ კაცს **რევოლვერით მოუკლავს ეგრედ, წოდებულ, პატრიოტულ პარტიის წევრი**, უფროსი ხელოსანი სოშკინი. ტყვია სოშკინს საფეთქელში მოჰხვედრია. მკვლელი გაქცეულა და ისე მიმალულა, რომ ვერ უპოვნიათ. პატრიოტულ პარტიას, 300-მდე კაცს, მაშინვე მუშაობა შეუწყვეტია, ცხენების საჯირითო მოედანზე ჩასულა და შესდგომია თათბირს. პარტიას ამ მკვლელბაში მონაწილედ უცვნია კანტორაში სოშკინთან მომუშავე მწერალი არჩილ მათიკაშვილი, რომელიც ამდროს თავის ბინაზე ყოფილა. ცოტა ხანს მათიკაშვილის ბინაზე მისულა ერთი წევრი პარტიისა და სამი კაზაკი და უთქვამთ, უნდა წამოხვიდე იქ, სადაც მკვლელობა მოხდა, გამოძიებაა და მოწმად უნდა დაგვესწროო. მათიკაშვილი გაჰყოლია, მაგრამ, შუა გზაზე რომ მისულა, მიმხვდარა, რომ სახელოსნოებში-კი არა, სხვაგან სადღაც მიჰყავდათ, და შეფიქრიანებულა. მათიკაშვილი საჯირითო მოედანზე გაუყვანიათ, სადაც ამდროს 200-მდე წევრი იყო აღნიშნულ პარტიისა. მუშები შემოსევიან მათიკაშვილს და მოუთხოვნიათ, შენ ნამდვილად უნდა იცნობდე სოშკინის მკვლელს და, თუ არ გვითხარი, ცუდ დღეს დაგაყენებთო. მათიკაშვილს უთქვამს: მე არ ვიცი, ვინ იყო, ვიღაც ფანჯარასთან მოვიდა, რევოლვერი გაისროლა და გაიქცა, საიდან შემეძლო მისი ცნობაო. მისცვივნიან მუშები და დაუწყიათ ცემა კეტებითა, მუშტებითა და ქვით. საბედნიეროდ, პატრული მიჰშველებიათ და ცოცხალ-მკვდარი კაცი ხელიდან გამოუცლიათ. მათიკაშვილი გრძნობა-დაკარგული წაუწყვანიათ რკინის გზის ლაზარეთში. უცემნიათ აგრეთვე ერთის მუშისთვის, რომლისთვისაც პარტიას დაუწამებია, შენ ჯაშუშობ, ჩვენთანა ხარ, მაგრამ, რაც აქ გესმის, სხვებთან მიგაქვსო. მათიკაშვილს თავი რამდენგანმე გატეხილი აქვს („ცნობ. ფურც.“).

✦ კავკავის რკინის გზაზე **სახალხო მატარებლების მიმოსვლა დაიწყო.**

✦ სოხუმის ქალაქის საბჭოს-მიერ გამგეობის წევრად არჩეული ალ. **მაჭავარიანი მთავრობამ დაამტკიცა.**

✦ ხუთშაბათს, 21 ივლისს, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს **ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის წარუდგა აფხაზთა დეპუტაციის მეთაური თავ. საად-ბეგი შერვაშიძე.** ამ დეპუტაციას აზრად აქვს შუამდგომლობა აღძრას აფხაზთა ზოგიერთ საჭიროებათა შესახებ.

✦ **დ. ცხინვალიდან** გვატყობინებენ: ივლისის 20-ს ნიქოზში მემამულე თავ. **ზ. ფავლენიშვილის სახლს დასცემია შეიარაღებული ბრბო**, წაუღიათ ფულად 85 მან. და მრავალი ნივთი. თავადი მეუღლითურთ დამალულა, მათი ყარაული—გლეხი მოუკლავთ. ეჭვი აქვთ, რომ ამ ბრბოში ერივნენ „კეთილშობილთა“ მილიციის ზოგიერთი წევრნიო.

✦ 24 ივლისს, ქ. გორში, საგანგებო სათავადაზნაურო სამაზრო კრებამ დაადგინა—გაგზავნოს დეპუტაცია, რომელმაც ნამესტნიკს გორის მაზრის **თავად-აზნაურთა უკიდურესი მდგომარეობა უნდა მოახსენოს.**

✦ როგორც ერევნიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ პოლიციას ერევნის მოქალაქე **თათრების ხელში ოცდა ათი ფუთი თოფის წამალი უპოვია.**

✦ 16 ივლისის, უმაღლესის ბრძანების თანახმად, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის მოადგილემ ნ. ა. რახმანინმა საყოველთაოდ გამოაცხადა, **ყველა სათადარიგო ჯარის კაცი**, რომლებიც რკინის გზებზე მსახურებენ, 23 **ივლისიდან ჩაითვლებიან, როგორც სამხედრო სამსახურში გაწვეულნი,** და თავ-თავიანთ ადგილებზე დარჩებიან, ხოლო ვინც სამუშაოდ არ გამოცხადდება, სამხედრო მთავრობას გადაეცემაო.

✦ კვირას, საღამოს 8½ საათზე, მუშტაიდის ბაღში, სეირნობის დროს, ვიღამაც ბუჩქებში **რევოლვერი დასცალა.** ხალხი გაფრთხა, ბევრს გული შეუწუხდა. ნახევარ საათის შემდეგ ბაღი თითქმის დაცალიერდა. მარცხენა ხელში მსუბუქად დაიჭრა ვინმე პეტრე სიზონტენკო, ახალგაზდა ყმაწვილი კაცი.

✦ როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, შაბათს, 23 ივლისს, დილის 10 საათზე, ბაქოში, ტელეფონის ქუჩაზე ეტლით მიმავალს ნობელის ქარხნის მეარტელეს თავს დასხმიან ვიღაც უცნობები, **წაურთმევიათ 13 ათასი მანათი და მისივე ეტლით წასულან.**

✦ როგორც „ნოვ. ობ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, ქ. ნახიჩევანში **თოფის სროლა ისევ ატეხილა.** თავზარ-დაცემული მცხოვრებნი ერთად იკრიბებიან თურმე; მაჰმადიანები—ბაზარში, სომხები საყდრის ეზოებში.

✦ ბათუმიდან გვატყობინებენ, 23 ივლისს, დილის 9 საათზე, **ექვსი შეიარაღებული კაცი შეიჭრა კუცურის არყის საწყობში** და კუცურის მივარდა, ჩქარა ფულიო. კუცურიმ უარი უთხრა, და ავაზაკებმა მსუბუქად დასჭრეს და გავარდნენ. პოლიცია დაედევნა, მაგრამ ვერავინ დაიჭირა. დევნის დროს დაიჭრა ერთი პოლიციელი.

✦ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია ატყობინებს გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს, რომ, კავკასიის მთავარ გამგეობის 1901 წ. 9 და 10 ნოემბრის ცირკულიარების თანახმად შეუძლიანთ **მიეწერონ ქალაქებსა და სოფლებს, მხოლოდ ის გადმოსახლებულნი სომხები.** რომლებიც 1901 წლის 1 თებერვლამდე არიან გადმოსახლებულნი. ხოლო ის სომხები, რომლებიც ამ ვადის შემდეგ გამოსახლდნენ, 1903 წლის 26 მაისის კანონის ძალით, უნდა გაიგზავნონ ამგვარ გადმოსახლებულთათვის საგანგებოდ დანიშნულ გუბერნიებში.

✦ ბათუმისა და სამტრედიის შორის რკინის გზის ლიანდაგი გაფუჭებულია, რის გამოც **მატარებლების მიმოსვლა ბათუმისაკენ შეწყვეტილია.**

✦ 24 ივლისს, ღამე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, მოსე ხელაევის ღვინის სარდაფში გაუტეხიათ ქურდებს და 80 მანათი წაუღიათ. ქურდებს სარდაფის ზემოდ სასტუმრო „როსიას“ კიბეები ამოუჭრიათ და იქიდან ჩასულან. სარდაფში დახლადარს სძინებია, მაგრამ ვერა გაუგია-რა. 25 ივლისს დილით, ეს ამბავი დახლიდარს პოლიციაში გამოუცხადებია. პოლიციის მოხელეს კაი სილა უთავაზებია მისთვის და უმალვე გამოუსტუმრებია. ეჭვი სასტუმრო „როსიას“ ლაქიებზედა აქვთ.

მზრუნველის კომისიისაგან შედგენილი სახალხო სკოლის პროგრამა

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განსაკუთრებული კომისია მოიწვია, რომელსაც დავალებული ჰქონდა სახალხო სკოლისთვის პროგრამის შემუშავება. ამ კომისიას სულ ხუთი სხდომა ჰქონია.

კომისიას აზრად დაუსახავს ისეთ სასწავლებლისთვის შეედგინათ გეგმა, რომელიც შეძლებისაგვარად დააკმაყოფილებდა ხალხის მოთხოვნილებას და თანაგრძნობასაც დაიმსახურებდა. სასწავლებლის მიზანი, კომისიის აზრით, უნდა იყოს ის, რაც გამოთქმულია 1898 წ. 26 მაისს სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ აზრში, სახელდობრ, სასწავლებელმა ხალხის მოზარდ თაობას უნდა მოაწოდოს ცხოვრებისთვის საჭირო ცნობები, აღზარდოს იგი და განამტკიცოს სარწმუნოებასა და ზნეობაში. ამიტომ კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ სახალხო სასწავლებელში ასწავლიდნენ სამღვთო სჯულს, დედა-ენას, რუსულ ენას და არითმეტიკას.

სამღვთო სჯულისა და არითმეტიკის საჭიროება სასწავლებელში, კომისიის აზრით, ყოველსავე ეჭვს გარეშეა და მათ შემოღებას არავითარი დამტკიცება არ სჭირიაო. ამჟამად საეჭვოდ გამხდარი არის მხოლოდ ის კითხვა, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს სახალხო სასწავლებელში დედა-ენას და სახელმწიფო ენასაც. დედა-ენის საჭიროებას ყველა საუკეთესო რუსი და ევროპიელი პედაგოგი ამტკიცებსო,—ყველა ამბობს, რომ სწავლა უნდა იწყებოდეს დედა-ენაზე, რომ დედა-ენა ხსვა საგნების შესწავლასაც საფუძვლად უნდა დაედოსო, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლა ხელს შეუშლის ბავშვის ბუნებრივ განვითარებას; ამის გარდა, ადგილობრივი ხალხი ეტანება სამშობლო ენას და მას სავალდებულოდაც სთვლისო სასწავლებელში. ხალხი ზურგს უქცევს ისეთ სასწავლებელს, სადაც დედა-ენა სწავლების საფუძვლად არ არის შემოღებული. დედა-ენის საჭიროებას სასწავლებელში აღიარებს თვით 1881 წ. 13 იანვარს დამტკიცებული სახალხო სკოლის პროგრამაც, რომლის ძალითაც სახალხო სკოლაში დედა-ენის საშუალებით უნდა ასწავლიდნენ ყველა საგანს.

რაც შეეხება რუსულ ენას,—კომისიის აზრით, იგი, როგორც სახელმწიფო ენა, სავალდებულო საგნად უნდა იყოს შემოღებულიო. ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგრძნობთ სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებასაო.

ამის მიხედვით, კომისიამ შეიმუშავა სახალხო სკოლის პროგრამა, რომელიც აქვე მოყვანილია. სხდომის დროს ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ეს საქმე დიდ-მნიშვნელოვანი არისო, რომ მისი ორ-სამ დღეში დასრულება არ შეიძლებაო, ამის გარდა, საჭიროა საზოგადოების და პრესსის მხრივაც მოვიწვიოთო წევრები საქმეში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ეს წინადადება კომისიამ არ შეიწყნარა.

I განყოფილება.

საუბარი სამშობლო ენაზე იმ საგნების შესახებ, რომლებსაც ბავშვები ხედვენ თავისს გარემო, და ერთის მხრივ გაცნობა იმ მასალისა, რომელიც მოთავსებულია სამშობლო ენაზე დაწერილ პირველ-დაწყებით წიგნში.

ხატვა უბრალო სახე-ფიგურებისა.

თვლა ჩხირებისა, კოჭებისა და სხვა საგანთა—ათამდე.

ასეთი მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე ერთის თვის განმავლობაში, ხილულ საგანთა ჩვენებით, ხოლო, უკიდურესს შემთხვევაში, სურათების დახმარებით. ერთის თვის შემდეგ უნდა დაიწყოს სამშობლო ანბანის სწავლება—ხმად დაყოფის მეთოდით. ასეთი სწავლება უნდა დასრულდეს სამოსწავლო წლის პირველ ნახევრამდე. ამ დროის განმავლობაში ბავშვებმა უნდა შეისწავლონ სამშობლო ენაზე თავისუფლად წერა-კითხვა. სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში უნდა გაგრძელდეს აღნიშნითი კითხვა იმ წერილებისა, რომელიც პირველ-დაწყებით წიგნშია მოთავსებული.

ამავე ერთის თვის განმავლობაში ბავშვებმა უნდა შეისწავლონ ათამდის ციფრების დაწერა და სიტყვიერისა თუ ზეპირის ამოცანების გამოცნობა, დათვლა წაღმა თუ უკუღმა ასამდე და პირველ ორის ათეულის, ე. ი. ოცამდე—გამოცანების ახსნა-განმარტება სამშობლო ენაზე.

პირველის წლის განმავლობაში მოწაფეები სურათების შემწეობით შეჩვეულ უნდა იქმნენ სამღვთო ისტორიების მოთხრობას. უნდა იცოდნენ: შექმნა ქვეყნისა, კაცთა პირველი შეცოდება, აღთქმა მაცხოვრისა და ათ-თორმეტი უქმენი. აგრეთვე უნდა იცოდნენ უუპირველესად საჭირო ლოცვები. ხოლო მოწაფე-მუსულმანებმა პირველის წლის განმავლობაში მასწავლებლის ზეპირ-გადმოცემით უნდა შეითვისონ მოთხრობები სამღვთო ისტორიიდან: შექმნა ქვეყნისა, ისტორია ადამსა და ევაზე, ნოეზე, აბრამზე, დავითზე, მოსეზე, და იესო ქრისტეზე. უნდა იცოდნენ აგრეთვე სწავლის დაწყებისას და მის გათავებისას წასაკითხი ლოცვები.

სამოსწავლო წლის მეორე ნახევარს უნდა დაიწყოს სწავლება რუსულ ენისა. ეს სწავლება უნდა სრულდებოდეს თვალსაჩინო მაგალითებისა და სამშობლო ენის დახმარებით. წლის გასვლამდე რუსულის ენის სწავლებას ყოველ-დღე უნდა დაეთმოს $^1/_2$—$^3/_4$ საათისა და შეასწავლონ ისევ ის, რაც ბავშვებს უკვე შეუთვისებიათ სამშობლო ენაზე, ე. ი. ბავშვებმა რუსულად უნდა შეისწავლონ სახელები მათ გარემო მყოფ საგნებისა და გაეცნონ იმ მასალას, რომელიც მოთავსებულია პირველ-დაწყებითს რუსულ სახელმძღვანელოში.

ამგვარად, მეორე განყოფილებაში გადასვლის დროს, ბავშვებმა უნდა იცოდნენ: ა) წერა-კითხვა სამშობლო ენაზე, ბ) სამშობლო ენაზედვე დათვლა ასამდე და პირველ ორს ათეულზე დამყარებულ გამოცანების ახსნა-განმარტება, გ) მოთხრობა სამღვთო ისტორიის უმთავრესს მოვლენებისა, რამდენიმე საჭირო ლოცვა სამშობლო ენაზე, და დ) რუსულ ენაზე უფრო ხმარებული სიტყვები და წინადადებანი.

II განყოფილება.

ქრისტეანი მოწაფეები, პირველ განყოფილებასთან შედარებით, სამღვთო სჯულს უფრო ვრცლად სწავლობენ და ითვისებენ კიდევ რამდენსამე ლოცვას. მუსულმან-მოწაფეებს კი ასწავლიან ისტორიას მაჰმადის პიროვნებისა, მის დევნისა და ისლამის გავრცელების შესახებ.

სამშობლო ენაზე ასწავლიან წერასა, კითხვასა, სამშობლო ლიტერატურის ზოგიერთ ნაწარმოებთ ზეპირათა და თავის სიტყვებით გამოთქმას და წანაკითხის შედარებით მართლ-წერას.

რუსულ ენაზე—ასწავლიან: წერას, კითხვას და პირველ-დაწყებით რუსულ სახელმძღვანელოში მოთავსებულ ადვილად გასაგებ და უკვე ახსნილ-განმარტებულ მოთხრობათა ზეპირად თქმას. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოწაფეებს შეეძლოთ დასწავლილ მოთხრობათა გვარიანი მართლ-წერა.

და დაასხა ცივი და მყრალი ოფლი; აუვარდა გულის რევა, მეტი ველარ მოითმინა, შემოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, გამოვარდა სასტუმრო ოთახიდან და კიბეზე დასტოვა ბატონის-მიერ ჩაყლაპული წვნიანი და მომაგრო ნივთიერებანი. მაგრამ რამდენადაც ალიერებდა იგი თავის კუჭს, იმდენად მხეცი ბატონი უფრო და უფრო ავსებდა მას! მან დააბინძურა და აამყრალა მთელი სახლი: ძლივს ქუჩამდე მიაღწია და სირცხვილით დატანჯულმა უარი სთქვა ცოლის შერთვაზე.

მეორეჯერ ბატონი ნუშს მიირთმევდა და ზედ ესპანიურ მაგარ ღვინოებს აყოლებდა; დეტუში ამას ინელებდა დონშანის სადილე მინდორზე ცხენთა ქენების ყურებაში; უეცრივ აერია გონება, დაეჯახა ხან ერთს, ხან მეორეს, დაავლიჯა ქალებს ტანთსაცმელი და სილა გააწნა ქუჩის ზედამხედველს. შეპოჭილი გაგზავნეს იგი პოლიციის სადგომში იმ ღვინის გამოსანელებლად, რომელიც მისმა ბატონმა ჩაცეცხლა. მეორე დღეს იგი მოსამართლეს წარუდგინეს.

— ახლა მაინც შეაჩერებდეს ის ლოთი ღვინის ყლურწვას—ჩაიბუტბუტა დეტუშმა.

სწორედ ის მოხდა, რაც ასე აშინებდა ემილს: კუჭიდან თავში ავარდნილი ღვინის სიმაგრე ხელახლა ათრობს მას; მან შეურაცხყოფა მიაყენა მოსამართლეებს, რისთვისაც მიუსაჯეს ორის წლით ციხეში ჯდომა სამსახურის ასრულების დროს შეურაცხყოფისათვის; მაგრამ მას ყოვლად შემძლე ბატონის შემწეობით სამი დღის შემდეგ გაანთავისუფლეს.

დეტუშის საქმლის მომნელებელი მუშაობა დღე-დღეზე უფრო სამძიმო და უსიამოვნო ხდებოდა; ღორ-მუცელა ბატონი განაგრძობდა დღეში ოთხჯერ და ხუთჯერ სადილობას და ათასჯერ უგრძნობლად ითვრებოდა; სატანჯველის შესამსუბუქებლად ემილმა რომაელების საშუალებას მიმართა: აღებინებდა პირიდან; მაგრამ ამან არა უშველა-რა,—დააცალიერებდა თუ არა კუჭს ემილი, მტანჯველი ისევ ისე ამოროხავდა.

დეტუში გამწარდა. ყოველგვარ საქმლის—პურის დანახვაზედაც კი გული ერეოდა. მას შესძაგდა ხალხი და ყოველივე, რაც კი ცოცხლობდა, ყვიროდა, მოძრაობდა; იგი გაურბოდა კაცთა საზოგადოებას და მათთან მეზობლობასაც; ცხოვრობდა მარტო, ყველასაგან მოწყვეტილი; გამოდიოდა მხოლოდ ღამით, რომ ცოცხალ არსებას არ შეხვედროდა—ადამიანს ან პირუტყვს; მთელი დღე და ღამე იმაზე მუშაობდა, რომ მონელებინა ბატონის-მიერ მიღებული საქმელთა ზვინი. სიყმაწვილიდან თანდაყოლილი ერთგული მეგობარი—გაჭირვება აშინებდა და ამიტომ პირობას ვერ არღვევდა, მაგრამ თავი კი დამარცხებულად იცნო. უკეთესია ულუკმა-პუროდ სიცოცხლე, ვინემ ეს საზარელი შრომა — მუდამ მხარშველ-მომნელებელი კუჭი. იგი შევიდა ბ-ნ გაბოსთან კონტრაქტის მოსასპობად, მაგრამ ნოტარიუსმა განუცხადა, რომ ეს შეუძლებელიაო. სამი წელი დარჩენოდა კიდევ და უნდა ბოლომდე ზიდოს ეს ტვირთი, თუნდა რომ სიცოცხლეც მოესპოს ამითი. მის სანუგეშებლად ნოტარიუსმა დაუმატა: „თქვენ სჩივით, რომ მხარშველ ნაწლევად იქეცით, მაგრამ ყველა ასეთსავე მდგომარეობაშია. ვინც კი იძულებულია თავის რჩენისათვის იმუშაოს. ისინი პოულობენ არსებობის სახსარს მით, რომ სხვისთვის მომუშავე რომელსამე ორგანოდ ხდებიან: მუშა—ეს ხელია, რომელიც კვესავს, სჭედავს, აშალაშინებს, თხრის, ქსოვს; მომღერალი—ეს ხახაა, რომ სხვისთვის იმღეროს, სხვადასხვა კილოზე ახმოვანდეს; ინჟენერი—ეს ტვინია, რომელიც სხვისთვის ანგარიშობს, გეგმებს ადგენს. თქვენა გგონიათ, რომ ჩემს კანტორაში მწერლები თავით მუშაობენ, აზროვნობენ ქაღალდების გადაწერის დროს? ოჰ, არა, სრულებითაც არა! აზროვნება—მათი საქმე არაა, ისინი—თითებია, რომ სწერონ. ათი-თორმეტის საათის განმავლობაში ასრულებენ ისინი მათთვის სრულიად არა-საინტერესო სამუშაოს, რომელიც მათ აჯილდოვებს თავის ტკივილებით, კუჭის მოშლით და ბუასილით. საღამოს კი მათ ბინაზე კიდევ მიაქვთ სამუშაო მოსასრულებლად, რომ რამდენიმე გროში იშოვონ და ბატონსაც თავისი წილი არგუნონ. დამშვიდდით, მეგობარო, ეს ყმაწვილი კაცებიც ისე იტანჯებიან, როგორც თქვენ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ღირსებია სიამოვნება,—მიიღოს წელიწადში იმდენი, რამდენსაც თქვენ თვეში იღებთ კუჭის შრომის ფასად“.

— სამწუხაროა, სამწუხარო! ის ნუგეშიც აღარ დამრჩენია, რომ მარტო მე ვიყო ასეთი უბედური ადამიანი.

— ჩაიჭედეთ თავში შემდეგი ჭეშმარიტება: ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში ღარიბი არსებობს არა თავისთვის, არამედ სხვებისთვის, არსებობს იმისათვის, ვინც მათ რაიმე ფანტაზიის ან მოთხოვნილების გამო ამუშავებს სხეულის ამა თუ იმ ნაწილით.

გულმოწყლული გამოვიდა კანტორიდან ემილ დეტუში. მან იწყო ქუჩებში ხეტიალი წინანდებურად, როცა სიმშილი უწვავდა გულ-მუცელს. არაოდეს ასეთი უბედური არ ყოფილა: აწმყო—უსიხარულოა, მომავალი—უიმედო. სასოწარკვეთილებით ხედავდა იგი თავის სწრაფ მოუძლურებას,—ჩამოხმა, გაძვალტყავდა; საჭმელი, რომელსაც იგი ინელებდა, არ ასაზრდოებდა მას, არამედ გადაოდა მხოლოდ მის სხეულში და სტოვებდა სიმშილის რაღაც ყრუ გრძნობას და თავის ტკივილებს, რომელსაც იგი სიგიჟემდე მიჰყავდა.

იმ დროს, როცა იგი ხეტიალში სიკვდილზე ოცნებობდა, მისი ბატონი, მისი მხიარული აღა, სჭამდა და სვამდა, და ემილს კუჭში ტყვიასავით აწვებოდა აუარებელი საჭმელი.

— ოჰ, რა საშინელებაა! ჩემი წამებული სხეული იშლება. კარგი იყო, სადმე მყუდროებაში მოსვენება და ტანჯვა, მაგრამ ჩემი ჯალათი, რომელსაც მივყიდე არა თუ სული, სულზე კი. დევ მეტიც, მაიძულებს განუწყვეტლივ მუშაობას... მარტო სიკვდილში თუ ვპოვებ მოსვენებას...

სევდისაგან შეშლილი და ცხოვრებით მოქანცული მიდიოდა ნაპირ-ნაპირ; წყალი იზიდავდა მას და ისიც გადაეშვა მდინარეში, მაგრამ ამოიყვანეს და ცივს წყალში ბანაობით დამშვიდებული გაგზავნეს სახლში. მეორე დღეს ვიღაც ზორბა ყმაწვილმა გადასცა მას შ—საგან წერილი, სადაც ატყობინებდა, რომ დღეიდან ხელწერილის ვადის გასვლამდე მას წერილის მომტანი მეთვალყურედ ეყოლება.

— აბა, ჩემო მეგობარო,—მკაცრად უთხრა ახლად მოსულმა თავის ტუსაღს:—შენი უფროსი ვარ; ოინებს თავი დაანებე, გესმის? შენ შენს თავს აღარ ეკუთვნი, რაკი გაჰყიდე შენი მადა და ამაში 48 ათასი ფრანკი მიიღე—შენ ვალდებული ხარ იცოცხლო და სიკვდილის ნება არა გაქვს. შენ რომ თავი დაიღუპო, რა მოუვა ბატონს. განა შეუძლიან მოინელოს თვითონ ყველაფერი, რასაცა სჭამს? ეგ შეუძლებელია. მისმა კუჭმა რომ მოისვენოს—საჭიროა შენი იქანცებოდეს. წინდაწინვე გაფრთხილებ, როგორც კი თავის მოკვლას განიზრახავ, იმ წამსვე საგიჟეში ჩაგსვამ, რის უფლებაც მონიჭებული მაქვს. მაგრამ ნუ დარდობ, სიბერემდე ვერ მიაღწევ; წინად კიდევ ორს ვსდარაჯობდი და ორივენი სწრაფად დაიხოცნენ. ჩვენი ბურჟუა ისეთი ღორ-მუცელაა,—ღმერთო დამიფარე!.. ჭამის დროს მადა არ ეკარგება, ეს მას არაფრად უღირს, კუჭი ხომ მას არ ეშლება. იგი იქამდე სტენავს თავის ფაშვს, სანამ არ გასქდება ის საქმლის მომნელებელი მანქანა, რომელიც იყიდა.

— მოკვდე იმისგან, რომ კუჭი ვერ ინელებდეს! აი, რა ბოლო მომელის!

დაიწყო ახალი ცხოვრება. ემილი აქამდე ჰაწია თავისუფლებით მაინც სარგებლობდა, როგორც ის ხელოსნები, რომლებსაც თავიანთ ბინაზე ამუშავებენ, მაგრამ ამ დღიდან იგი პროლეტარიევით მოექცა პატრონის სახელოსნოში და უნდა სხვის მეთვალყურეობაში ინელოს. უზომო ჭამით შეწუხებულმა კონტრაქტში აღნიშნულს ჰიგიენურ სეირნობას თავი ანება, მთელი დღე და ღამობით იწვა გაშხლართული და გაინძრეოდა მხოლოდ უსაჭიროეს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილების მოსახდენად. მაგრამ მის მეთვალყურის მოვალეობას შეადგენდა, კონტრაქტი უნაკლულოდ შეესრულებინება; ამ აზრით მას წამითაც არ უნდა მიეცა მისთვის თავისუფლად ის დრო, რომელიც მან გაჰყიდა.

დილა-ადრიან აგდებდა მას ქვეშაგებიდან და დიდხანს არბენინებდა მინდორზე, რომ ამნაირად მოემზადებინა ბატონისათვის დილის მადა. ნასადილევს, ყელამდე გატენილს და პირაღმა გაწოლილს, როცა უძრავად მოსვენება ენატრებოდა ემილს, უნდა ევლო, რომ გაეძლიერებინა საქმლის მონელების უნარი და მოემზადებინა ბატონისთვის ახალი მადა.

ემილი სუსტ წინააღმდეგობას უწევდა. „ნუ ტლინკავ, ძამია,—უთხრა მას დარაჯმა მის პირველსავე წინააღმდეგობაზე:—შენ ძლიერ მოწინააღმდეგესთანა გაქვს საქმე; იცოდე, დამარცხდები. გახსოვდეს, რომ მე პორთფელში მაქვს მკურნალთა მოწმობები, პოლიციის ბრძანებანი და მსაჯულის ნება-რთვა—ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭიროა იმისთვის, რომ შენ შარენტონში გიკრა თავი, იქ კი ჯოხით გასწავლი ჭკუას“.

ემილი თავზარდაცემული, გარეტიანებული, ცოცხალ-მკვდარი ცხოვრობდა, მოკლებული საკუთარ ნებას, მუდამ მონელებაში, მუდამ ტანჯვაში, მუდამ შიშში. იგი წვებოდა, დგებოდა, იარებოდა, ჩერდებოდა, ჯდებოდა თავის დარაჯის ბძანებით, მორჩილი და მუნჯი, როგორც დამონებული ფინია ძაღლი, რომელიც ყეფას ვერ ბედავს პატრონის შიშით.

ერთ დილით ბატონმა ჩვეულებრივზე უფრო ზორბად ისადილა: მან ამოხვრიპა მთელი მათლაფა წვენი, გადაყლაპა თევზიანი ხაჭაპურები, სამიოდ გირვანქა ხორცი და მთელი გორა მაკარონი. ძილად მივარდნილმა ემილმა იძინა მთელი ორი საათი; როცა დარაჯმა წამოაგდო იგი სარბენად, ეს უნელებელ საქმლების ზვინი მძიმე ტვირთივით ჩაწვა კუჭში. იგი ძლივს მილასლასებდა თავის მეთვალყურესთან ერთად, სევდიანად თავჩაქინდრული; გზის მოსახვევში შევარდა მობაასე და მოხარხარე ქალ-კაცთა ბრბოში. შ—ც მათში იყო და ყველაზე მეტად მხიარულებდა. მისი ხმა-მაღალი და გულიანი სიცილი შორს გაისმოდა, ხოლო მისი მობაასენი მისი ყურებით ილეოდნენ.

— რა უხეში მხიარულებაა,—ამბობდა ერთი მათგანი,—ვინ დაიჯერებს, რომ ამ პირუტყვმა, ეს-ეს არის, იმოდენა საქმელი ჩაიყარა ღიპში, რაც ათს, სამი დღის დამშეულ, გლეხსაც კი დააშინებს.

მისი აღის ბედნიერმა სახემ და კარგმა გუნებამ დეტუშს ერთი გადაწყვეტილება მიაღებინა: მან ხალხში გზა გაიკაფა და ჩაუვარდა შ—ს ფეხებში,—ტირის, უამბობს თავის მწუხარებას, შეურაცხყობას, შესთხოვს მოწყალებას, ევედრება, გაანთავისუფლოს ამ საშიშარ მონობისაგან, ჰპირდება დაუბრუნოს მიღებული ფული; ის ემუდარება ერთ მოწყალებას—მოასვენოს, ზედმეტად აღარ ანელებინოს სხვისთვის.

— რა უნდა ამ გიჟს?—იკითხა შ—მ და წაჰკრა მას წიხლი.

დარაჯმა დასტაცა ხელი, აიყვანა, გაარბენინა მინდვრები და სახლში ლაზათიანად მისტყეპა.

— აი, ეს გასწავლის ბატონის საქმლის მონელების აშლასო.

დეტუში ემორჩილებოდა უგუნურ პირუტყვივით, მაგრამ ისიც მოხდება, რომ ცხვრებიც გაცხარდებიან.

— მე ვშრომობდი, მე ვიღლებოდი, რომ სხვას კმაყოფილება ეგემა; ყველაფერს ვიტანდი, ხოლო, როცა მოვუძლურდი, ვტიროდი, ვემუდარებოდი, ისინი კი მცემდნენ; ის-ღა დამრჩენია, რომ მოვკვდე. თამამად! რაღას დავკარგავ!

იგი გაეპარა დარაჯს, რომელიც დაათრო, და შეუვარდა თავის ჯალათს. შ—ი მხიარული, ქარხალივით გაწითლებული, კმაყოფილი, დამშვიდებულის სინიდისით, ის იყო, აპირობდა მიჯდომოდა სუფრას. დეტუშის დანახვაზე, რომელიც თმა-გაწეწილი, მრისხანე და დამბაჩით ხელში თავზე წაადგა, შეშინდა და დაიყვირა.

— მიშველეთ!.. ნუ მომკლავთო!

— ფლიდო, გარყვნილო, ღორო, მსუნაგო!.. შენ მაწამე... შენ მუშაობით ჩაჰკალ ერთნი და ჩაჰკლავ სხვებს... კიდევ ჭამას ვერ ეღირსები!—

შიგ მუცელში ესროლა და დააწვინა. ეგონა, რომ ბოლო მოუღო და წავიდა პოლიციაში, სადაც უამბო თავისი ამბავი. კომისარმა გიჟად ჩასთვალა; ამ დროს მოირბინა დარაჯმა და დაამოწმა მისი სიგიჟე, რაიც მკურნალ-ფსიხიატრებმაც დაამტკიცეს.

შ—ი გადაურჩა ჭრილობას და რამდენისამე კვირის შემდეგ ისევ განაგრძო თავისი ღორმუცლობა.

ემილი დეტუში კი შარენტონში ჩაამწყვდიეს და ცივის წყლით ექიმობა დაუწყეს იმისთვის, რომ მან გაყიდა მადა. დ—რი.

ანგარიშიდან სამშობლო ენაზე მოწაფეებმა უნდა იცოდნენ: ნუმერაცია და 100—1000 რიცხვამდე არითმეტიკული ოთხი მოქმედება, უნდა ესმოდეთ რას ნიშნავს: მიმატება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა, გამოკლებითი და გამრავლებითი შედარება რიცხვებისა. გამრავლება და გამოკლება 10-სა და 100-ჯერ, ცნობილ რუსულ საზომთა და საწონ ერთეულების ცოდნა ზეპირად და წერით. გამოანგარიშება კურსის მიხედვით გამოცანებისა, ცოდნა ნაწილაკებისა.

მესამე განყოფილებაში გადასვლის დროს მოწაფეებმა უნდა იცოდნენ: ა) სამშობლო ენაზე შესმენით მოთხრობა სამღვთო ისტორიათა და რამდენიმე ლოცვა; ბ) თამამად კითხვა, მოთხრობა და წერა წაკითხულისა სამშობლო ენაზე; გ) წერა და კითხვა რუსულად და რუსულად წაკითხულის სამშობლო ენაზე გადმოთარგმნა—მოთხრობა, რამდენადაც შეიძლება, რუსულადაც, და დ) ათასამდე არა-რთულ არითმეტიკულ გამოცანათა ახსნა-გაკეთება.

III განყოფილება.

საღმრთო სჯულიდან ქრისტეანთათვის სავალდებულოა ახსნა და განმარტება უმთავრესს ლოცვათა: სიმბოლო სარწმუნოებისა, ათის მცნებისა და ლოცვა უფლისა (მამაო ჩვენო); ამ ლოცვებისა და მათ უმთავრესს მუხლთა ზეპირად ცოდნა. მუსულმანთათვის საჭიროა ცოდნა: სარწმუნოების დოგმათა, წესებისა და ყორანის კითხვა.

სამშობლო ენაზე უნდა იცოდნენ: გარკვეული და შეგნებული კითხვა, წანაკითხის მართლწერა, ზეპირად თქმა ზოგიერთა ლექსებისა, არაკებისა და სახელოვნო ნიმუშებისა. კითხვა იმგვარ მოთხრობათა, რომელთა მეოხებითაც გაეცნობიან სამშობლოისა და ქვეყნის გეოგრაფია-ისტორიას, წერილობით გამოთქმა თავისის აზრებისა მოწაფეთაგან ცნობილ საგანთა და მოვლენათა.

რუსულის ენიდან უნდა იცოდნენ: კითხვა და წერა (ერთ ხაზზე) მოთხრობათა, რომლებიც უნდა ახსნან ხოლმე სამშობლოისა და რუსულ ენებზე, ზეპირად თქმა სახელოვნო ნიმუშებისა, სიტყვიერი და წერილობითი გამოთქმა კლასში წაკითხულ მოთხრობათა კითხვების დახმარებით, ანუ უკითხვებოთ.

ანგარიშიდან (სამშობლო ენაზე) უნდა იცოდნენ ნუმერაცია და ოთხი მოქმედება ყოველგვარის რიცხვისა, მოქმედებათა შემოწმება (პროვერკა), მოქმედება რთულის სახელდებითი რიცხვებისა, ანგარიში უბრალო ნაწერებისა, სიტყვიერად და წერილობით ახსნა-განმარტება ამოცანებისა. მოწაფეებმა უნდა იცოდნენ სახელები საკომერციო საზომავებისა.

მესამე წლის დასასრულს უნდა იცოდნენ: ა) საღმრთო სჯულიდან (დედა ენაზე) ლოცვები, კატეხიზმოს ჭეშმარიტებანი და აგრეთვე ლიტურგიის წესები; ბ) დედა-ენაზედვე უნდა იცოდნენ თავისუფალი წერა და კითხვა. უნდა შეეძლოთ თავის საკუთარ აზრის გამოთქმა ბავშვის გონებისთვის მისაწვდომ საგანთა და მოვლენის შესახებ; გ) რუსულს ენაზე კითხვა და წიგნიდან გადმოწერა; წანაკითხის შინაარსის გადმოცემა კი მოწაფეებს მოეთხოვებათ იმ ფარგალში, რაც სასწავლებელში შეუსწავლიათ; დ) **ანგარიშიდან** (დედა-ენაზე) ახსნა-განმარტება რთულისა და სახელდებულ რიცხვებიან. ამოცანებისა ოთხივე მოქმედებით, უნდა ესმოდეთ უბრალო ნაწერები.

როგორც ზემო აღნიშნულ პროგრამიდანა სჩანს, სკოლის სამ-წლიანი კურსი საკმაო ცოდნას არ აძლევს ბავშვს, ნამეტნავად რუსულს ენაში. ამისთვის საჭიროა მიემატოს მეოთხე წელიწადიც.

მეოთხე წელიწადს სასურველია, რომ სწავლა ასე მოეწყოს:

საღმრთო სჯული (სამშობლო ენაზე). კითხვა და განმარტება სახარებისა და საეკლესიო ისტორიიდან უმთავრეს მოვლენათა ცოდნა; მუსულმანთათვის კი განვლილის განმეორება დამატებანით და კითხვა ყორანისა

დედა-ენა. სალიტერატურო ნიმუშების კითხვა და შესწავლა, სამშობლო ისტორიისა, გეოგრაფიისა და ბუნების-მეტყველების შესასწავლად სხვადასხვა სტატიების კითხვა. წაკითხულის წერილობით გადმოცემა, წერილებისა და საქმის ბარათების შედგენა და აგრეთვე ადვილ თემებზე თხზულებათა წერა.

რუსული ენა. ბავშვთათვის შესაფერ მოთხრობების განმარტებითი კითხვა, წანაკითხის თავის სიტყვით გადმოცემა; მიცემულ კითხვებზე შეგნებულად გადმოცემა შინაარსისა და აგრედვე მათი წერილობითი გამოხატვა.

ანგარიში (დედა-ენაზე). განმეორება და გაერთიანება განვლილის მასალისა, რომლის დროსაც ყურადღება არითმეტიკულ ამოცანების სხვადასხვა მოქმედებით ახსნა-განმარტებას უნდა მიექცეს. გაკვეთილთა რიცხვი კომისიამ ასე განაწილა:

განყ. I: სამღთო სჯული—3, დედა-ენა—8, რუსული ენა—7 (იანვრიდან), ანგარიში—6, სულ 24 გაკვეთილი.

განყ. II: სამღთო სჯული—3, დედა-ენა—8, რუსული—8, ანგარიში—5, სულ 24 გაკ.

განყ. III: სამღთო სჯული—3, დედა ენა—8, რუსული—8, ანგარიში—5, სულ 24 გაკ.

განყ. IV: სამღთო სჯული—3, დედა-ენა—8, რუსული—9, ანგარიში—4, სულ 24 გაკ.

ერთკლასიან სკოლის დანარჩენ კითხვათა შესახებ, კომისია შემდეგ აზრს დაადგა: 1) დედაენის სწავლება ჩაბარდეს პედაგოგიურად მომზადებულ კაცს; 2) ერთი და იგივე კაცი მხოლოდ ორ განყოფილებაში ასწავლიდეს; 3) იმ სკოლებში, სადაც სწავლა ორ წელიწადს გრძელდება, უნდა იხელმძღვანელონ ოთხ-წლიან სკოლის ორის პირველ განყოფილების პროგრამით; 4) პირველ-დაწყებით სკოლებში, სადაც კი შესაძლებელია, უნდა ასწავლონ: გალობა საერო და უმთავრესად საეკლესიო; აგრეთვე სასურველია, ადგილობრივ პირობების მიხედვით მოწაფეებმა პრაქტიკულად შეასწავლონ ესა თუ ის დარგი მეურნეობისა; 5) სასურველია, რომ მასწავლებლებმა მოწაფეები სასეირნოდ წაიყვანონ ხოლმე ფიზიკურ ვარჯიშობისთვის და აგრედვე ბუნებისა, სამშობლოისა და სხვათა შესასწავლად; 6) საჭიროა, რომ ბავშვები წიგნების კითხვას მიეჩვიენენ რუსულსა და სამშობლო ენაზე, რისთვისაც სკოლებთან საბავშო ბიბლიოთეკები უნდა დაარსდეს.

არისტოკრატიული წარმომადგენლობა წარსულში

ნ. ა. როჟკოვისა.

როგორ წარმოსდგება, განვითარდება ან ფეხს იკიდებს არისტოკრატიული წარმომადგენლობა რომელსამე სახელმწიფოში?

წარმომადგენლობის ასეთი ფორმა მეტად ძველია, იგი შემოვიდა მაშინ, როდესაც ხალხი უმთავრესად ნადირობას ადგა, ნადირობით იკვებებოდა. იმ დროს ყოველი ოჯახი განცალკევებით სცხოვრობდა, რომ შეჯგუფულად ცხოვრებით ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ ნადირობაში. შრომის განაწილება მხოლოდ ოჯახის წევრებში იყო, ვაჭრობა არ არსებობდა, ოჯახი ყველაფერს თვითონვე იკეთებდა, არაფერს არ ყიდულობდა და გარედ არაფერს არ ყიდდა. ამიტომ იმ დროს ოჯახის ცხოვრებაში პიროვნება არა სჩანდა და მომქმედ საპოლიტიკო ძალად გამოდიოდა მთელი ოჯახი და არა რომელიმე ერთ-ერთი წევრი. ამიტომაც საერო კრებებზე ყოველ ოჯახს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა და ამ კრებებში გადასაწყვეტი ხმა მხოლოდ ოჯახის უფროსებს ჰქონდათ მინიჭებული.

ამავე დროს საზოგადოებას გამოეყოფოდა ხოლმე ცალკე ჯგუფი, რომელიც, ჩვეულებრივ შრომის გარდა, კიდევ უცხო ტომელებთან ვაჭრობას იწყებდა და ამ ვაჭრობას ხშირად გაძარცვის ხასიათსაც აძლევდა. ამ საქმის დაწყებით ისინი სხვადასხვა უპირატესობას მიაღწევდნენ ხოლმე. ეს უპირატესობა გამოიხატებოდა, სხვათა შორის, იმაში, რომ მეფეს, მთავარს ან წინამძღოლს გვერდში ამოუყენებდნენ ხოლმე არისტოკრატიულ დაწესებულებას,—საბჭოს, რომელიც თავის მხრივ შესდგებოდა ოჯახთა წარმომადგენლებისაგან. ამნაირი იყო სენატი რომში, გერუსიები სპარტაში, არეოპაგი ათინაში, გერმანელების ოჯახის უფროსთა საბჭო, რუსეთში ბოიარების კრებული. ამნაირად შემოდის არისტოკრატიული წარმომადგენლობა სახელმწიფოში.

არისტოკრატიული წყობილება მაშინაც რჩება, როდესაც ხალხში მიწად-მოქმედება მკვიდრდება. რომის სენატი, რუსეთში ბოიარების კრებული, სამეფო პერების საბჭოები—საშუალო საუკუნოებში არსებობდა. წინანდელ პერიოდთან ის განსხვავებაა, რომ ვაჭრობითა და გაძარცვით მოპოვებულ სიმდიდრეზე დამყარდა არისტოკრატიულ პრივილეგიების უფრო მკვიდრი ნიადაგი—მიწად-მოქმედება. მიწად-მოქმედებას კაპიტალი სჭირია: წინანდელი მეთევზე ან მონადირე სულ უკაპიტალოდაც ახერხებს თავის მიზნების მიღწევას. მისთვის მეტად საადვილოა ტყის ნადირის დასაჭერად მახეების მოწყობა, სათევზაოდ ბადის მოქსოვა.

მიწად-მოქმედებას ბევრად მეტი შრომა სჭირია. ტყიან ადგილში ჯერ ახოს აღება არის საჭირო, მოხვნა, დათესვა, გამარგვლა, მომკა, მარცვლის დაფქვა წისქვილში. ამას კი დრო სჭირია, მიწად-მოქმედს უნდა ჰქონდეს სხვა საჭმელი შენახული, საჭიროა სხვადასხვა სამიწადმოქმედო იარაღი, თესლი, საქონელი და სხვადასხვა შენობები,—ერთის სიტყვით, კაპიტალია საჭირო.

ყოველ ცალკე გლეხის ოჯახს საკმარისი საშუალება არა ჰქონდა იმისთვის, რომ გაძღოლოდა თავის მეურნეობას,—ამიტომ ხშირად იძულებული ხდებოდა უფრო შეძლებულთაგან ესესხა საჭირო იარაღები და სამაგიეროდ ადგილის ნაწილი დაეთმო მათთვის. ამნაირად კერძო საკუთრება წარმოსდგა,—არისტოკრატიულ წარმომადგენლობის მტკიცე ნიადაგი.

არისტოკრატიულ წარმომადგენლობას პირველად გაუთხარა ძირი თანამედროვე წარმოების დამთავრებამ, იმ წარმოებისა, რომელიც აშენებულია ფულის ტრიალზე, შრომის განაწილებაზე, ნაწარმოების მიმოსვლასა და ვაჭრობაზე. მართალია, ამ დროს არისტოკრატიული წარმომადგენლობა ერთბაშად არ მოსპობილა, მისი სახე მხოლოდ გართულდა, მაგრამ თანდათან მაინც მას მეტი მოწინააღმდეგე უჩნდება სახელმწიფოში. ეს ადვილი გასაგებია: ახალ დროის წარმოება ადამიანის კერძო ინიციატივას მოითხოვს, კომერციულ გამოცდილებას, გაბედულობას. ძველ არისტოკრატიას კი ეს თვისებები აკლია, ამიტომ მისი მნიშვნელობა თანდათან სუსტდება, ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ მხოლოდ აქა-იქ თუ დარჩა ძველ არისტოკრატიულ წარმომადგენლობის ნაშთები, როგორიც არის ინგლისის ზემო-პალატა, ავსტრიის რეიხსრატის პირველი კურია, სადაც წევრობას მემკვიდრეობით იღებენ არისტოკრატები, ან იტალიის მემკვიდრეობით სენატორები. ეს ძველის დროის უკანასკნელი ნაშთია,—ზემო-პალატასაც ქვედა-პალატასთან, შედარებით ნაკლები მნიშვნელობაც აქვს,—მხოლოდ ქვედა პალატას აქვს ბიუჯეტის უფლება. ზემო პალატა მხოლოდ ფორმალურად არკვევს ბიუჯეტს და შიგ არაფერს არა სცვლის; სამინისტრო ინგლისში მხოლოდ, ქვედა-პალატას წინაშეა პასუხისმგებელი. სამინისტრო სამსახურიდან გადადის, თუ ქვედა-პალატის უმეტესობა მას არ დაეთანხმა, ზემო-პალატის შეხედულებას კი ამ მხრივ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამას უნდა დაეუმატოთ კიდევ, რომ ზემო პალატამ თითქმის დაჰკარგა თავისი არისტოკრატიული ხასიათი,—უმეტესობას ლორდის ხარისხი სამსახურით აქვს ნაშოვნი და არა მიღებული მემკვიდრეობით. დედოფალ ვიქტორიის მეფობის ხანაში მთავრობა ხშირად ლორდობას აძლევდა ცნობილ საპოლიტიკო მოღვაწეებს ან ცნობილ კაპიტალისტებს (როგორც, მაგ., როტშილდს). ამას გარდა, ზოგიერთმა არისტოკრატმა მდიდარ ვაჭრებისა და მექარხნეების ქალებზე დაიწერა ჯვარი, ზოგმა თვითონ დაიწყო სხვადასხვა სამრეწველო საქმეში გარევა. აი, ეს კაპიტალის გარევა ინგლისში ასაზრდოებს ლორდების ზემო პალატას.

ასეთივე გავლენა აქვს ინგლისში საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობასაც. იქ მმართველი კლასები ყოველთვის უთმობდნენ უკმაყოფილო ჯგუფებს, კომპრომისებით სცდილობდნენ მშვიდობიანობის შერჩენას.

საზოგადოდ ყველგან, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად, შემოდიოდა შრომის განაწილება, საზოგადოების წყობილება იცვლებოდა და, არისტოკრატიულ წარმომადგენლობის მაგივრად, მყარდებოდა წოდებრივი წარმომადგენლობა.

რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ **გუბერნატორებს უფლებები გაუფართოვდეთო**. პროექტის ძალით გუბერნატორებს უფლება მიეცემათ ზოგიერთ ისეთ საქმის გადაწყვეტისა, რომელიც დღემდის სამინისტროს შეეხებოდა (რ. ვ.).

✦ მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, რომელიც უმაღლესად დამტკიცდა, მოსკოვსა და პეტერბურგში **გაძლიერებულ დაცვის წესი** 1906 წ. 4 ენკენისთვემდის გაგრძელდება (რ. ს).

✦ თურქესტანში **გაძლიერებულ დაცვის წესი** გამოცხადდა (რ. ი.).

✦ რუსეთში ებრაელ ექიმებს სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნება არა აქვთ. ამის გამო პეტერბურგი და სხვა ქალაქებიც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. პეტერბურგიდან მობილიზაციის დროს აუარებელი ექიმი წავიდა ბრძოლის ველზე და **მრავალი სახაზინო საავადმყოფო უექიმოდ დარჩა.** კერძო, ებრაელი ექიმი პეტერბურგში ბევრია, მაგრამ ამ ადგილის დაჭერა არ შეუძლიანთ; ამის გამო ქალაქის საბჭოს წევრმა პეტრუნკევიჩმა საბჭოში წინადადება შეიტანა, ებრაულ ექიმებსაც მიეცეთ სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნებაო (რ. ს.).

✦ მომავალ თვეში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ეგზამენები დაიწყება. ზოგიერთ სასწავლებელში 100,—200 და 300 კაცს შეუტანია თხოვნა, მაგრამ რამდენმა კაცმა მოისურვა სწავლა, არ იციან. უნივერსიტეტთა ადმინისტრაციას ეს **დიდ საიდუმლოებად მიაჩნია** და მალავს მთხოვნელთა რაოდენობას (რ. ს.).

✦ ცნობილი მოღვაწე მანდილოსანი დენისევიჩი ოლონეცის გუბერნიაში გაიგზავნა ადმინისტრატიულის წესით. (რ. ს.).

✦ სევასტოპოლიდან და ოდესიდანაც **აუარებელ ხალხს გზავნიან ცივ გუბერნიებში.** ოდესის გენ.-გუბერნატორმა ოლონეცისა, არხანგელსკისა და სხვადასხვა გუბერნიებში გაგზავნა ცნობილი ოდესელი მწერალი გერცოვინო გრადსკი (ომეგა), რომელიც გაზეთ „ოდეს. ნოვოსტი“-ს საუკეთესო თანამშრომლად ითვლებოდა. გარდა ამისა, ჩრდილოეთ გუბერნიებში გაგზავნეს ამავე გაზეთის მუდმივი თანამშრომლები—რედაქციის წევრნი: ბრუსილოვსკი, ზოკი, კიპენი (გაზეთ „კომ. როს.“-ს თანამშრომელი) და გაზეთ „იუჟნია ზაპისკი“-ს თითქმის მთელი რედაქცია. ოდესიდან განაძევეს აგრეთვე ცნობილი მოღვაწე საკერი, ქალაქის გამგეობის მდივანი ლისენკო, საქმის მწარმოებელი სპადენკო, მრავალი ხმოსანი და იქაურ ინტელიგენციის ყველა საუკეთესო წევრი. სევასტოპოლიდანაც აუარებელი ექიმი, ვექილი, ხმოსანი და მწერალი გაიძევეს (რ. ვ.).

✦ კალიშში დააპატიმრეს ვინმე პისარსკი, რომელიც პოლიციაში წაიყვანეს და **ცემით მოკლეს.** განსვენებულის დასაფლავებაზე პოლიციამ მისვლის ნება არავის მისცა (რ. ვ.).

✦ ივნისში სტავროპოლში ჯარმა თოფი დაუშინა ხალხს და 65 **კაცი მოჰკლა და დასჭრა.** როგორც ახლა გამოირკვა, ეს ჟლეტა მისიონერ მღვდლის კრიუჩკოვის ბრალი ყოფილა. კრიუჩკოვს განგებ გადაუკიდნია მართლმადიდებელნი და „სტაროობრიადცები“, წაუჩხუბებია და გაპარულა (რ. ვ.).

✦ უცხოეთის გაზეთები იუწყებოდნენ, 6 აგვისტოს **მოსკოვში დიდი ამბავი მოხდებაო.** ახლა კი სწერენ, ეს ამბავი—საერო კრების მოწვევის გამოცხადება—11 აგვისტოს მოხდებაო (რ. ვ.).

✦ 18 ივლისს პეტერბურგის სამხედრო სასამართლომ პეტრე-პავლეს ციხეში გაარჩია საქმე გერშკოვიჩისა, რომელმაც ბოქაულის თანაშემწე სტრახოვიჩი დასჭრა. სასამართლომ გერშკოვიჩს **ჩამოღრჩობა გადაუწყვიტა** (რ.).

✦ კიშინიოვში **ხულიგანებმა ხალხს თავზარი დასცეს.** 17 ივლისს, შუადღისას, ერთ ლიბერალს ყელი გამოსჭრეს. საღამოზე ქალაქის ბაღში მეორე ყმაწვილ კაცს დანით გული გაუპეს. ამ დროს ბაღში 10,000 კაცი იყო. ხალხი ისე შეშინდა, რომ თავზარ-დაცემული აქეთ-იქით გაიფანტა. მაგრამ ბაღის კარებში კომბლებითა და დანებით შეიარაღებული ხულიგანები დახვდნენ. ხულიგანებმა მიჰყვეს ხელი დამფრთხალ ქალებსა და ყმაწვილებს და სამის საათის განმავლობაში სცემდნენ. არავის არჩევდნენ, ოღონდ ინტელიგენტი დაეჭიროთ, რუსებს კი—ვაი იმისი ბრალი. საქმეში პოლიცია არ ჩარეულა. სანამ ეს ამბავი დაიწყებოდა, ბაღი სავსე იყო პოლიციელებით, მერე კი პოლიციელები მიიმალნენ და ხულიგანებს თავისუფლება მიანიჭეს. მეორე დღეს საავადმყოფოები გაივსო ნაცემ ხალხით (რუს. სლ.).

✦ 18 ივლისს ჟიტომირის სამხედრო სასამართლომ **ჩამოღრჩობა გადაუწყვიტა** ვინმე სიდორჩუკს, რომელმაც ბოქაული კუიაროვი მოჰკლა. სიდორჩუკი სულ 17 წლის ყმაწვილია (რ. ს.).

✦ 17 ივლისს დონის როსტოვში ხალხს შეტაკება მოსვლია ჯართან. **დაჭრილი და მოკლული ბევრია.** წინა დღეს გაფიცვა დაიწყო მთელს ქალაქში (რ. ს.).

✦ „ვესტ. ტავ. ზემ.“-ს ანგარიშით, რუსეთში თითო ოჯახი საშუალოდ **85 მან. და 90 კაპ. იხდის წელიწადში** სახელმწიფო გადასახადს (ნ. ქ.).

✦ 19 ივლისს ეკატერინოსლავში პოლიციასა და ხალხს შეტაკება მოსვლიათ. ერთ დემონსტრანტს **გოგირდის სიმჟავე გადაუსხამს** ბოქაულის თანაშემწისთვის და პირისახე სულ დაუმახინჯებია. სიმჟავეს ისე დაუწვავს ბოქაულის თანაშემწე, რომ პირსახეზე, თავზე და ყელზე ძვლები ღა შერჩენია, ხორცი კი სულ ამომწვარა (რ. ს.).

✦ პოლონეთში ზოგიერთ ქალაქში მთავრობას ხელმეორედ **აუკრძალავს** პოლონურ ენაზე წარმოდგენების გამართვა (რ. ს.)

✦ **პრესსის თავისუფლება.** ჟურნალ „რუსსკაია სტარინა“-ს უკანასკნელი ნომერი „რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო“ გვიან გამოვიდა. ჟურნალში ზოგიერთი წერილი ვერ დაიბეჭდაო,—აცხადებს რედაქცია (ნ. ქ).

✦ „რუსსკაია მისლ“-ის **უკანასკნელი ნომერი ცენზურამ დაიჭირა** (ნ. ქ.).

✦ 12 ივლისს ვილნოს პოლიციამ დაიჭირა 8600 **სარევოლიუციო პროკლამაცია** (ნ. ქ.).

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

25 ივლისი.

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. რწმუნებულნი ამალებითურთ ოსტერბეის წავიდნენ ცალცალკე, ორი კრეისერით. იაპონელები წინად მივიდნენ. ორთავე კრეისერის წასვლის დროს ცხრამეტ-ცხრამეტჯერ დასცალეს ზარბაზანი. ვიტტეს ხალხმა ოვაციები გაუმართა. იახტა „მაიფლოუერზე“ პირველად კომურა მიიღეს, შემდეგ ვიტტე. მიღების ცერემონიალი წინადვე იყო შემუშავებული. რუზველტს ახლდნენ ადმირალები. იქვე იყო გენერალი რანტი. რწმუნებულნი „მაიფლოუერზე“ რომ ადიოდნენ მათ პატივსაცემად აქაც ცხრამეტ-ცხრამეტჯერ ისროლეს. წარდგენის შემდეგ ისაუზმეს ფეხზე დგომით, რადგან ერიდებოდათ ჯდომის რიგით არავის ვაწყენინოთო. რუზველტმა სიტყვა წარმოსთქვა და გამოეთხოვა; თავისი იახტა ვიტტეს დაუთმო პორტსმუტში წასასვლელად. იაპონელები იმავე კრეისერზე ავიდნენ, რომლითაც მოვიდნენ, და პორტსმუტს გაემგზავრნენ. წასვლისას კიდევ ცხრამეტჯერ დასცალეს ზარბაზანი. ვიტტემ ზღვით მოგზაურობა ვერ აიტანა და ნიუ-პორტიდან რკინის გზით წავიდა. 24 ივლისს ვიტტემ აცნობა „კოკუმინის“ კორესპონდენტს, რომ რუსეთი ომის დროებით შეჩერებას არ ითხოვს, თუ იაპონიის მოთხოვნილება ზომიერი არ იქნებაო, რადგან ამ შემთხვევაში ვერ დათანხმდებაო.

ოსაკა. ტოროკის მხარეს 17,000 რუსის ქვეითი ჯარია და 7000 კაზაკი 30 ზარბაზნით. სურსათის მიტანა მეტად უძნელდებათ.

სარატოვი, 24 ივლისი. „სარატ. გუბ. ვედ.“-ში დაბეჭდილია სარატოვის გუბერნატორის შემდეგი ოფიციალური ცნობა ბალაშოვში მომხდარ სამწუხარო ამბის შესახებ: „21 ივლისს ბალაშოვის მცხოვრებნი, რომლებიც გაბრაზებულიყვნენ ექიმ-ფერშლებზე იმის გამო, რომ მათ კრებაში სამსახურს თავი დაანებეს, შეიკრიბნენ ერთის სასტუმროს მახლობლად, სადაც ექიმ-ფერშლები და გარეშე ხალხი შეკრებილიყვნენ და თათბირობდნენ და საიდანაც მოისმოდა აკრძალული სიმღერები. ბრბოში 20,000-მდე კაცი იქნებოდა და ემუქრებოდნენ,—ცუდს დღეს დაგაყენებთო. ბრბოს მიჰქონდა ხელმწიფის სურათი; იმღერეს საერო ჰიმნი და აღუთქვეს გუბერნატორს,—ძალადობას არ ვიხმართო, მაგრამ, როდესაც თვითონ გუბერნატორს მოჰყავდა სასტუმროდან ექიმები და რკინის გზის სადგურისაკენ უშირებდა გაგზავნას კაზაკების თანხლებით, ბრბო აღელდა და დაიწყო ქვებისა და ჯოხების სროლა, რომლის დროსაც გუბერნატორს ერთი თითი ატკინეს. გუბერნატორმა ძლივს მოახერხა სადგურისაკენ გამგზავრებულ ექიმთა დაფარვა. ბრბომ გაანადგურა სახლები კერძო ვექილად ნამყოფის ფეოდოსიევისა და ვაჭრის ტარასტინისა, სცემეს ექიმებს ხმელევსა და სადოვნიკოვს; გუბერნატორმა გამოაცხადა,—ვერავის ვერ ვაპატიებო ამნაირ საქციელს, რომელიც უკანონობაა და ველური თვითნებობაო, და თუ კიდევ განმეორდება ასეთი ძალმომრეობა, ჯარს გამოვიწვევო. ეს ამბავი გამოიწვია შეურაცხყოფილმა,—თუმცა კი ველურმა პატრიოტულმა გრძნობამ, რასაც, ცოტად თუ ბევრად, ხელი შეუწყო წინა დღეს საერობო კრებაზე დამსწრე საზოგადოების უგვანო საქციელმა. ამის შემდეგ ხალხი ააშფოთა იმან, რომ ექიმებმა გაჰფანტეს განცხადების ფურცლები ცალმხრივის, ტენდენციურის შინაარსისა; ფურცლებით მიდგომით იყო განმარტებული გაფიცვის მიზეზები; ხალხი აღელვა აგრედვე ბრბოს ყვირილმა: „ისინი თოფ-რევოლვერებს გვესვრიან, ჩვენ კი გაჩუმებულნი უნდა ვიყვნეთ“; ამ სიტყვებით აღელვებულ ბრბოს მოაგონეს, რომ 18 ივლისს, სოფ. ტურკოვის მახლობლად, სარატოვის გუბერნატორის მოკვლა განიზრახეს, მაგრამ ვერ მოახერხეს, თუმცა არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ გუბერნატორის მოკვლის განზრახვის საქმე კრების ფერშალ-ექიმებს თავს მოვახვიოთ. ახლა ბალაშოვში წესიერება აღდგენილია და ქალაქში მშვიდობიანობაა. გუბერნატორი სწუხს იმის გამო, რომ ზოგიერთმა გაბრაზებულმა კაზაკებმა, როდესაც სადგურზე მიჰყავდათ ექიმები, მათრახითა სცემეს მათ, თუმცა საიმისოდ მძიმედ არაფერი დაუშავებიათ; მაგრამ ამისი მიზეზი ის იყო კიდევ, რომ ერთი ექიმთაგანი ხელების ქნევით ემუქრებოდა კაზაკებს და ამათ მეტიც აღარ ეჭირვებოდათ, რადგანაც უწესოების მოხდენის გამო ძლიერ აღელვებულნი იყვნენ.

პეტერბურგი. „ფინლიანდიის გაზეთი“ იუწყება, გვარდიის ჯ-რისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი იწერება, უავგუსტოეს მთავარსარდალს, უმაღლესის ბრძანებით, განკარგულება მოუხდენია, რომ პეტერბურგის სამხედრო სასამართლოს გადაეცეს ომის დროის კანონით განსასჯელად საქმე ვიბორგის ციხის ჟანდარმთა რაზმის პოდპოლკოვნიკის კრამარენკოს მკვლელის მუშა პროკოპესი.

გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, ძველ ენებში გამოსაცდელად რეალურ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ იმ შემთხვევაში მიუშვებენ, თუ რომ მოწმობაში საშუალო ნიშანი ოთხზე ნაკლები არ ექნებათ.

განზრახულია საგანგებო სამედიატორო სასამართლოები დაარსდეს მექარხნეთა და მომუშავეთა შორის უთანხმოების გასარჩევად და უბედურ შემთხვევისაგან დასახიჩრებულ მუშების დასაკმაყოფილებლად. თავმჯდომარედ იქნება მომრიგებელი მოსამართლე ანუ ოლქის სასამართლოს წევრი.

ამბობენ ბულიგინის პროექტის განხილვა ამ კვირის სამშაბათსა ან ოთხშაბათს იქნებაო.

ბალტიის თავად აზნაურთა კრებამ შეამუშავა მოთხოვნილება, რომელიც ლანდტაგებმა განიხილეს და მოიწონეს: საერო თვითმართველობის მოწესრიგება; მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, ვინც საერო, სამმულო და სამრეწველო ან სახელოსნო ხარჯს იხდის. საჭიროდ სცნეს ადგილობრივ ენების თავისუფლება.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მე-3,4 და 5 საპოლიციო უბნებში საჭიროა ქალაქის სამკურნალოსთვის 25—30 ოთახიანი სადგომი. ვისაც სურვილი აქვს თავისი სახლი ზემო-დასახელებულ სამკურნალოსათვის გააქირაოს, უმორჩილესად ვთხოვთ, თავისი პირობები წერილობით წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას არა უგვიანეს 15 აგვისტოსი. (3—1)

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში,
აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) **მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—7)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 25 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.